



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**თემა : შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მასთან
დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებანი**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

თამარი ბადურაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ ფიცხელაური

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია -----	3
Annotation -----	4
შესავალი -----	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა -----	
-10	
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი-----	14
2.1.მენარმეთა შესახებ კანონისა და შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმოშობის მოკლე ისტორია -----	14
2.1.1.შებენიანი შესაძლებლობის საზოგადოება საქართველოში-----	18
2.1.2.შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის ორგანოები---	22
2.2.შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი ნიშნები-----	24
2.2.1 შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობა -----	28
2.2.2 შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლის განვითარების საჯარო და კერძო სამართლებრივი ასპექტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ-----	30
2.3. შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით- სამართლებრივი ანალიზი -----	34
2.3.1. შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის სამართალში-----	35
2.3.2. შებენიანი პასუხისმგებლობის საზოგადოებები რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში-----	38

2.3.3 შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით - სამართლებრივი ანალიზი - ევროპული და ამერიკული გამოცდილების კვლევა	42
დასკვნა	46
გამოყენებული ლიტერატურა	49

ანოტაცია

მოცემულ ნაშრომში განხილულია შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებანი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ სხვადასხვა სფეროს მონესრიგება დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტების მიღებით დაიწყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამენარმეო სამართალი.¹ დროთა განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობა განიცდის ცვლილებებს. მათ შორის იცვლება და იხვეწება „მენარმეთა შესახებ კანონი“. სამენარმეო საქმიანობის დასაწყებად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ცოდნა იმის შესახებ თუ რა სამართლებრივ ფორმებს გვთავაზობს მოქმედი კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამენარმეო საქმიანობისთვის რამდენიმე სამართლებრივი ფორმა არსებობს, მაგარმ მათ შორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება (მას შემოკლებით შპს-ს უწოდებენ). მისი დაფუძნებისკენ მისწრაფება განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. მათ შორის უნდა აღინიშნოს მისი მარტივი სამართლებრივი აგებულება და მმართველობა.

¹ ბურდული ი. სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი 1, თბილისი 2010, 72.

ამდენად ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება აღნიშნული ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა თანამედროვე სახელწიფოთა კვალდაკვალ.

უნდა ითქვას, რომ სრულყოფილი და უნაკლო კანონი ალბათ ჯერ არავის შეუქმნია. ცხადია, რომ არც მენარმეთა კანონია გამონაკლისი. ცხოვრება ბევრ ისეთს საკითხს წარმოშობს, რომელიც ამ კანონში არ არის ასახული. დროთა განმავლობაში კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ამ ხარვეზების აღმოფხვრას.

Annotation

This work concerns a limited liability company and the peculiarities of the related legal norms.

After gaining independence from Russia, Georgia began to regulate various areas by adopting independent legal acts. In this regard, entrepreneurial justice is especially important.

Over time, Georgian legislation is subject to change. Among other things, Law on Entrepreneurs is also changing and improving.

For starting an entrepreneurial activity it is important, first of all, to know what legal forms of legislation are being proposed.

It should be noted that, in accordance with the legislation of Georgia, there are several legal forms of business activities, but the most common form among them is Limited Liability Society (carrying abbreviation Ltd).

The desire to create it is due to various reasons. Among them should be noted its simple legal structure and management.

Thus, the legislative regulation of the institution and judicial practice will be considered in the context of the modern state.

It should be mentioned that a perfect and unmistakable law hasn't been created yet. It is clear that the Entrepreneurs Law is not an exception. Life is a matter of many things

that are not reflected in this law. Gradually, lawmakers and judicial practice will certainly help eliminate these shortcomings.

შესავალი

ბიზნეს საქმიანობის დაწყება და საკუთარი შემოსავლის ამ სფეროთი გაზრდა თითქმის ყველა ადამიანს სურს. ამისათვის კი მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, მისი წარმატებით განხორციელებას რიგი საკითხების სწორად დაგეგმვა-გადაწყვეტა სჭირდება; მათ შორის კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არის ის, რომ საქმე სამართლებრივად გამართული და დახვეწილი იყოს.

დამოუკიდებელი სამართლებრივი მეცნიერების განვითარება და მდიდარი ტრადიციების ჩამოყალიბება მეტწილად ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორიითაა განპირობებული. ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ძალიან ცოტა გამოცდილება აქვს, გასაკვირი არ არის, რომ ქვეყნის განვითარება განსაზღვრული იყო იმ ქვეყნის განვითარების დონით, რომლის გავლენითაც თავად იყო მოცული². შესაბამისად, ქართული სამენარმეო სამართალი სხვადასხვა ეტაპზე იმ ისტორიული რეალობის

²ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005 წელი 8 1გვ.

ადეკვატურ შედეგს წარმოადგენს, რომელშიც იმყოფებოდა. უნდა ითქვას, რომ მენარმეთა შესახებ კანონმა, რომელიც 1994 წელს იქნა მიღებული, უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული სამენარმეო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ამ კანონის საფუძველზე განხორციელდა პრივატიზების პროცესები, დაფუძნდა მრავალი კერძო კომპანია და ზოგადად, ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.

ახლა, როცა კანონის მიღებიდან რამდენიმე ათეული წელია გასული, მისი გამოყენების პრაქტიკამ კანონის მრავალი ხარვეზი გამოავლინა. ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში ან სრულებით არ არის დარეგულირებული, ან იმდენად ბუნდოვნად და ზოგადად არის ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკაში ხშირად პრობლემები იქმნება მათი გამოყენებისას. ყოველივე ამას თან დაერთო საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი. აღნიშნულმა პროცესმა დღის წესრიგში დააყენა მენარმეთა შესახებ კანონის საფუძვლიანი გადასინჯვის აუცილებლობაც. უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი (როგორც პირთა ურთიერთობის უდიდესი ნაწილის მომწესრიგებელი მექანიზმი) პასუხისმგებლობის საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და მრავალნაზნაგოვანი თემაა. მოგების მიღებაზე ორიენტირებულ ურთიერთობებში ყველაფერი ხომ ციფრების დონეზეა დაყვანილი, ამიტომ ამ ტიპის ურთიერთობათა მონაწილეები ცდილობენ, დასაწყისშივე ცალსახად გამოკვეთონ ყველა შესაძლო შედეგი, რომელთა მიღებაც ურთიერთობის ნებისმიერი მიმართულებით განვითარების შემთხვევაშია შესაძლებელი. სწორედ ასეთ დაცულ და გარანტირებულ პირობებში ახდენენ პირები ინვესტიციების განხორციელებას და კორპორაციების დაარსებას. პარტნიორის დაცვის უმთავრესი საშუალებაა შესაბამისი შენატანებით მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვა. ამიტომ ნაშრომში განხილული იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც საკორპორაციო სამართლის უმთავრესი პრინციპის, დანიშნულება და არსი; მისი სამართლებრივი რეგულირება.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (იგივე შპს-ის) პრინციპს განმარტავს და უფლება-მოვალეობებს განუსაზღვრავს კანონი მენარმეთა შესახებ. ამავე კანონით რეგულირდება მისი რეგისტრაციისა და გაუქმების წესებიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაარსების პროცედურა უფრო მარტივი და ლიბერალურია, ვიდრე სხვა სახის საზოგადოების; შესაბამისად მის მიმართ ინტერესიც დიდია. ნაშრომი სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების შედეგებით ჭრილში იქნება წარმოჩენილი.

დღევანდელ ქართულ სამართალში ამკარად შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ნორმატიულ აქტებში აისახოს მონესრიგებულ ობიექტთა ცნებები. ასევეა სამენარმეო სამართალშიც, სადაც გადმოცემულია ყველა საზოგადოების, მათ შორის შპს-ის, ლეგალური დეფინიციაც.

თემის აქტუალობა. აღნიშნული თემის არჩევა მისმა აქტუალობამ განაპირობა. მის აქტუალობას ადასტურებს თვითონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების რამდენიმეჯერ შეცვლა, რადგან ქართველი კანონმდებლები ცდილობენ, ზუსტად ასახონ და წარმოაჩინონ ამ საზოგადოების სამართლებრივი ბუნება. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ შპს-ის ცნების ბოლო ფორმულირება სრულყოფილად ასახავს და გადმოსცემს მის დამახასიათებელ ნიშნებს.

ამჟამად, ქართული კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემური გაუმართაობის კლასიკური ნიმუშია, რომელიც სამენარმეო საქმიანობის სწორი, ორგანიზირებული ფორმის დეტერმინიზაციაში დახმარების ნაცვლად, კაპიტალურ საზოგადოებათა დიფუზიურ ვარიანტს ქმნის. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პრინციპულად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად არ უნდა არსებობდეს ესა თუ ის კომპანია; თუმცა ისინი მაინც ამ ფორმით ყალიბდებიან. აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საკანონმდებლო რეგულაციის ნაკლოვანებები სახელდება და კიდევ ის, რომ არ არსებობს შესაბამისი საგადასახადო შეღავათები.

„მენარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებს,³ რადგანაც მათი პასუხისმგებლობა შეზღუდულია მხოლოდ საზოგადოების ქონებით. უნდა ითქვას, რომ მსგავსი საზოგადოების პარტნიორმა არ შეიძლება პასუხი აგოს საზოგადოების ვალდებულებაზე. თუმცა საზოგადოების ხელმძღვანელი პირების გამო, პრაქტიკაში მაინც შეინიშნებოდა და შეინიშნება მსგავსი შემთხვევებიც; კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს საზოგადოების დირექტორის დაკავებას ან დაპატიმრებას, ხშირია პარტნიორის იძულება, რათა გადაიხადოს თანხა მისი განთავისუფლებისათვის. აღნიშნული სერიოზულ პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ არის შესაბამისობაში იმ ფორმასთან, რასაც „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ ეწოდება და კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის გავლებული ის ზღვარი, რომელიც გამორიცხავს მსგავს შემთხვევებში საზოგადოების პარტნიორის იძულებას პასუხისმგებლობაზე.⁴

საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მენარმეობის განვითარებამ, რომელიც საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად წარმოიშვა, სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან ერთად დღის წესრიგში დააყენა საკანონმდებლო ბაზის ცვლილების საკითხი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის დღიდან რამდენიმე წელი გავიდა. შესაბამისად, აღნიშნულ ნორმატიულ აქტში მრავალი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი. კანონმდებლობამ ახლებურად განსაზღვრა ბევრი საკითხი.

საქართველო აქტიურდ უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ორგანიზაციათა რთულ პროცესში, რადგან ქართული კანონმდებლობის შედარება საერთაშორისო ნორმებთან შეუწყობს ხელს მის დახვეწას.

ამიტომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კვლევა და მისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულებების მქონე აქტივობაა. ამავდროულად მსოფლიოს

³კანონი „მენარმეთა შესახებ“ 1994 წ. მუხლი 2.1.

⁴2011 წელი 19 ოქტომბერი ღრმა ინტერვიუ როინ მიგრიაულთან.

ეკონომიკურ პროცესში საქართველოს ინტეგრაციის ხარისხის ზრდასთან ერთად მისი როლი და მნიშვნელობა უფრო საგრძნობი ხდება.

დასახული მიზანია

- ✓ წარმოჩინდეს ის სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებათა ჯგუფი, რომელიც ეხება შებენი უსუსისმგებლობის საზოგადოებას და რომელიც ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმას, რომელიც ქართული რეალობისათვის ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი და შესაბამისად - ყველაზე მისაღებია;
- ✓ გამოიკვეთოს შებენი უსუსისმგებლობის, როგორც სამართლის უმთავრესი პრინციპის, დანიშნულება და არსი;
- ✓ ჩამოყალიბდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და საერთაშორისო ნორმებთან მის ჰარმონიზაციას;
- ✓ გამოვლინდეს საქართველოში არსებული შებენი უსუსისმგებლობასთან დაკავშირებული არასრულფასოვანი პრაქტიკა და მისი გამომწვევი მიზეზები და განისაზღვროს მათი აღმოფხვრის გზები.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გადმოცემული საკითხები გამოკვლეულია შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე, რათა უკეთ წარმოჩინდეს შებენი უსუსისმგებლობის საზოგადოება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებანი. ამიტომ შედარებით სამართლებრივ ანალიზში, როგორც ქართული, ისე თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების სამართალს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. კანონმდებლობის დახვეწას ბიძგი უნდა მისცეს სამეცნიერო ნაშრომებმა, სადაც პრაქტიკული საკითხები და სასამართლოს პრეცედენტებიდან გამომდინარე პრობლემური თემები იქნება ასახული. პრაქტიკა, მეცნიერება და საკანონმდებლო ნოვაციები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რაშიც პირველი ნაბიჯები სწორედ სამეცნიერო კვლევამ უნდა გადადგას.

სხვადასხვა ქვეყნების შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების, შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური ანალიზის სისტემების ძირეული საკითხების კვლევა საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ თუ რომელი არსებული მოდელია ადეკვატური ქართული სინამდვილისათვის.

მოქმედი ნორმატიული აქტების და სასამართლო პრაქტიკის, ასევე საერთაშორისო რეგულაციების განხილვის შედეგად ნაშრომში წარმოჩენილია კონკრეტული რეკომენდაციები კვლევის წინაშე დასმულ სხვადასხვა საკითხზე.

კვლევის ამოცანები:

- ✓ საქართველოში შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა და შეფასება;
- ✓ შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების საკანონმდებლო ხარვეზების გაანალიზება;
- ✓ შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების დანიშნულება და მისი სამართლებრივი რეგულირებები;
- ✓ შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებული საქართველოსა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმატიული აქტების ანალიზი და ძირითადი ტენდენციის განსაზღვრა;
- ✓ განვითარებული ქვეყნების, შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების შესწავლა და გაანალიზება ;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივ რეგულაციებზე კვლევები ფართოდ არ არის ასახული სპეციალურ ლიტერატურებში, თუმცა არსებობს სტატიები, მოხსენებები და მონოგრაფიები მრავალი ავტორის მიერ, რომლებიც ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებული ქართული და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომების, სახელმძღვანელოების და პუბლიკაციების სიმცირის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, ლ. ცერცვაძე, რ. მიგრიაული, ა. ხარაიშვილის, გ. ლილუაშვილისა და სხვათა პერიოდული გამოცემები და ნაშრომები, რომლებიც გამოყენებულ იქნა მოცემულ თემაში.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც აქტიურად არის ნაშრომში გამოყენებული, არის ლადო ჭანტურიას და თედო ნინიძის გამოცემა „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები“. იგი სამი გამოცემისგან შედგება და დეტალურად განიხილავს მენარმეთა კანონს, სამენარმეო საქმიანობას და მათ შორის საზოგადოებებსაც. მოცემული ნაშრომი, განმსჭვალულია იმის შეგნებით, რომ სამენარმეო საქმიანობა მკაცრ წესრიგსა და უმაღლეს პასუხისმგებლობას გულისხმობს. აღნიშნული წიგნი პირველი მარჯვე ცდაა სამოქალაქო სამართალში ქართულ ენაზე ამგვარი კომენტარისა.⁵

„მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარების“ მეორე - კერძო ნაწილი ერთ კანონში მოიცავს სამენარმეო საზოგადოებათა ხუთ ძირითად ფორმას, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც მას ახასიათებს.

ნაშრომის ბოლოს (დასკვნაში) წარმოჩენილია ის პრობლემები, სიახლეები, საკითხები, რომელნიც მთელს ნაშრომს ნიშანსვეტად სდევს. ნაშრომში წარმოჩენილია სხვადასხვა მეცნიერ-იურისტთა პრაქტიკული მაგალითებით გამოყენებული მოსაზრებები. პრაქტიკა კი ძირითადად მოხმობილია განვითარებული, თანამედროვე სახელმწიფოებში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სამართლიდან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ სწორედაც ლადო ჭანტურიას მიერ არის სიღრმისეულად გამოკვლეული და შესწავლილი კანონი მენარმეთა შესახებ, რომელიც ასევე განხილულია ნაშრომში.

ასევე უნდა ითქვას, რომ კანონი მენარმეობის შესახებ 1994 წლის 28 ოქტომბერს მიიღო საქართველოს პარლამენტმა.⁶

საქართველოს ისტორიაში ეს პირველი კანონია კერძო სამართალში, რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებას შეესაბამება და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა შესრულებული. ეს კანონი ქართული სამართლის მონაპოვარი, ამავე დროს, კონსტიტუციური ევროპის

⁵ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა 2002, 13.

⁶ კანონი მენარმეობის შესახებ 1994 წლის 28 ოქტომბერი.

სამართლებრივი ტრადიციების გაგრძელება და ხორცშესხმა. იგი მოიცავს კერძო და ზოგად ნაწილს.

კანონის ქართული პროექტი, უფრო თანამედროვეა; იგი არ აყენებს წინა პლანზე საწარმოს (როგორც პირის ანუ სამართლის სუბიექტის) დახასიათების გამო უკვე დაძლეულ დავას, არამედ გამოდის საწარმოს ეკონომიკური ფუნქციებიდან, და მისი ორგანიზაციული ერთიანობიდან. ზოგად ნაწილში იგი ხაზს უსვამს მსგავსებას და ერთიანად აწესრიგებს იმ საკითხებს, რომლებიც ყველა სახის წარმოებისათვის ერთიანად უნდა მოქმედებდეს: წარმოშობა, რეგისტრაცია, სახელწოდება (ფირმა), ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა (მათ შორის, სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში მონაწილე დამხმარე პირთა მიერ), საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, საზოგადოების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა საზოგადოებებთან გაერთიანების, ფილიალების დაარსების, კონცერნების სხვადასხვა ფორმები. ზოგადი ნაწილი მთავრდება ნორმებით ხანდაზმულობისა და დოკუმენტაციათა ფორმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილში წარმოდგენილია ცალკეულ ფორმათა თავისებურებანიც, იგი მაინც შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის საწარმოსთვის.

კანონი „მენარმეთა შესახებ“ აწესრიგებს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს. კანონის ზოგადი ნაწილი ერთიანი მიდგომებით აწესრიგებს იმ საკითხებს, რომლებიც ყველა სახის საწარმოსათვის ერთიანად უნდა მოქმედებდეს; მაგალითად: საწარმოს წარმოშობა და რეგისტრაცია, სახელწოდება, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, საზოგადოებრივი რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და ა. შ. ზოგადი ნაწილი მთავრდება ხანდაზმულობისა და გასაჩივრების ვადების შესახებ ნორმებით. კერძო ნაწილი მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სახელმწიფოების ეკონომიკაში გამოყენებულ სამენარმეო საქმიანობათა ხუთ ძირითად ფორმას და მათ არსებობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.

კანონის მიხედვით, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

ლადო ჭანტურიას ღვაწლი მენარმეთა შესახებ კანონის მიღებაში დიდია. მან თავისი ნაშრომების დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ კანონს მიუძღვნა, ამიტომ მოცემულ თემაშიც ფართოდ არის გამოყენებული მისი ნაშრომები, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია,, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“ ნაშრომის უდავო ღირებულებაა ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის განხილვა კორპორაციული მართვის სხვა ელემენტებთან ერთობლიობაში. წიგნი ხუთი თავისაგან შედგება სადაც ავტორი განსაზღვრავს კორპორაციული მართვის მიზანს და მიზნავს შიდა და გარე კორპორაციულ მართვას. საინტერესოა შიდა კორპორაციული პასუხისმგებლობის თავისებურებებისა და მისი განვითარების მიმართულების ანალიზი. ავტორი ასევე ახდენს პასუხისმგებლობის სუბიექტისა და კორპორაციული მართვის სისტემათა შედარებით ანალიზს თანამედროვე სამართალში და ყურადღებას უთმობს პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების განხილვას აშშ-ის, გერმანიისა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების სამართალში.

ჭანტურიას ნაშრომებმა დიდად შეუწყო ხელი საკორპორაციო სამართლის განვითარებასა და დახვეწას.

თემაში აქტიურად არის განხილული ასევე როინ მიგრიაულის ნაშრომები, მათ შორის „ პარტნიორის სამართლებრივი მდგომარეობა შპს-ის გაკოტრებისას“⁷ , რომელიც 2004 წელს გამოიცა, შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება⁸“ 2003 წელს გამოცემული, ასევე „შპს-ს სამართლებრივი მდგომარეობა ქართული სამართლის მიხედვით“⁹, 2001 წელი და ა. შ.

რაც შეეხება შპს-ს გაკოტრების სამართლებრივ ასპექტებს; უნდა ითქვას, რომ აქ როინ მიგრიაული აქტიურად საუბრობს შპს-ის სამართლებრივ მდგომარეობაზე, მის მნიშვნელობაზე და საკანონმდებლო მონესრიგებაზე, შპს-ის გაუქმების

⁷ როინ მიგრიაულის ნაშრომები, მათ შორის „პარტნიორის სამართლებრივი მდგომარეობა შპს-ის გაკოტრებისას“. 2004 წ.

⁸ როინ მიგრიაული შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა და დასრულება. 2003 წ.

⁹ როინ მიგრიაული შპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა ქართული სამართლის მიხედვით. 2001 წ.

საფუძვლებზე, გაკოტრება- უნარიანობაზე და საფუძვლებზე. თვითონ ნაშრომი 9 თავისგან შედგება და თითქმის სრულად და ამომწურავად არის გადმოცემული შპს-ს მნიშვნელობა და ცნება. ამიტომ თემაში მისი განმარტებები აქტიურად არის გამოყენებული.

რ. მიგრიულს ნაშრომში „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება“ (შედარებით ანალიზი გერმანულ სამართალთან) განხილულია შპს-სა და მის დირექტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ირაკლი ბურდულის ნაშრომები : „სააქციო სამართლის საფუძვლები და სამენარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში შედარებითი სამართლებრივი კვლევა¹⁰ და „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები¹¹, რომელიც ასევე თემაში აქტიურად არის გამოყენებული და სადაც ირაკლი ბურდული საუბრობს, რომ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, რაც ამხანაგური ტიპის საზოგადოებას კაპიტალისაგან განასხვავებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპია. ისტორიულად სწორედ ეს გახდა საკორპორაციო სამართალში ამ ორ კატეგორიის ფუძემდებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაშრომში გამოყენებულია სხვა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომები და საზღვარგარეთის ლიტერატურის მიმოხილვაც თემასთან დაკავშირებით; თუმც ზემოთ ჩამოვლილი კონკრეტულ ლიტერატურათა ჯგუფი შედარებით ინტენსიურად არის გამოყენებული თემაში.

¹⁰ ირაკლი ბურდულის ნაშრომები : „სააქციო სამართლის საფუძვლები და სამენარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარებასაქართველოსა და გერმანიაში შედარებითი სამართლებრივი კვლევა“. თბილისი, 2007წ.

¹¹ ირაკლი ბურდული „თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“. 2011 წ.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1 მეწარმეთა შესახებ კანონისა და შებენიერი

პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმოშობის მოკლე ისტორია

საბჭოთა კავშირის გარდაქმნის პროცესის დანერგვასთან ერთად, წინა პლანზე იწვეს კერძო ინიციატივის გაძლიერებისა და გაფართოების ტენდენცია. ოფიციალური ხელისუფლება ამის უპირველეს გამოხატულებად მიიჩნევს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კორპორაციის განვითარებას. ამ პერიოდის საბჭოთა სინამდვილისთვის უცხოა ისეთი წმინდა კაპიტალისტური საწარმო, როგორცაა შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კანონი, რომელიც საქართველოში სამართლებრივად პირველად განმტკიცდა სამეწარმეო საზოგადოებაში, იყო კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1991 წლის 25 ივლისს.¹² შებენიერი პასუხისმგებლობის სამართლებრივი სტატუსი საქართველოში განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მე-11 და მე-15 მუხლებში. უნდა აღინიშნოს რომ მას ქართულ ენაზე მოკლე კომენტარებიც კი მიეძღვნა, ხოლო კანონის 44-ე მუხლში განმტკიცებულია მისი განმარტება.

აღსანიშნავია, რომ ქართული საკორპორაციო სამართალი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მაგრამ გერმანული სამეწარმეო და საზოგადოებათა სამართლის რეცეფციის შედეგად შექმნილ ლოგიკურ სინთეზის ინსტიტუტს. შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება გერმანული კანონმდებლების მიერ შექმნილი სამართლებრივი ფორმაა და იგი სწორედ გერმანული სამართლის გავლენით გავრცელდა თანამედროვე მსოფლიოში.¹³

¹²ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში.

¹³ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. 295-296 გ.

ამბობენ, თითქოს ეს არის გერმანული კანონი, თუმცა ეს შენიშვნა არასწორია, რადგან 1994 წლის 25 ოქტომბერს საპარლამენტო დისკუსიაში მონაწილეობის დროს იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ აღნიშნა - „... ეს არის ქართული კანონი. მის მსგავს ერთან აქტს გერმანიაში ვერ ნახავთ, დასავლეთ ევროპის ვერც სხვა ქვეყანაში. მენარმეთა კანონი არის ქართული კანონი, რომელშიც გამოყენებულია, იმ ქვეყნის ცოდნა და გამოცდილება, რომელთა მსგავსის აშენებაც მიზნად დავისახეთ. ეს არის გერმანულ მეცნიერებთან თანამშრომლობაში შექმნილი ქართული კანონი. იგი ემყარება კონსტიტუციური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას, მის ძირითად პრინციპებს, რომელთაგან ზოგიერთს ორ ათასწლოვანი ისტორია აქვს და რომის სამართლიდან მომდინარეობს...“¹⁴

მენარმეთა შესახებ კანონის 44-ე მუხლის თანახმად,¹⁵ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობაც მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია როგორც ერთ, ასევე რამდენიმე პირს.

მიუხედავად იმისა, რომ სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონმა ზოგადი სახით განამტკიცა სამენარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, იგი დაბალი დონის კანონი იყო; მას პრეტენზია ჰქონდა მთლიანად მოეწესრიგებინა სამენარმეო საქმიანობა. ამიტომ მასში თავმოყრილი იყო როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებიც. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ აუცილებელი გახდა ცალკე კანონქვემდებარე აქტების მიღება.

მენარმეთა შესახებ კანონის პირველად დიბადა 1993 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე სამოქალაქო

¹⁴ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. 34გვ.

¹⁵ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებები 1994 წელი - N21-22 თავის მესამე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მუხლი 44. ცნება (14.03.2008 N5913)

კოდექსის კომისიაში მუშაობის პროცესში.¹⁶ კერძოდ, კომერციულ იურიდიულ პირებზე დისკუსიის დროს გერმანელმა იურისტებმა (პროფესორი როლფ კნი პერი ბრემენიდან და ადვოკატი ჰარტმუტ ფრომი ფრანკფურტიდან) წამოაყენეს მოსაზრება კომერციული (სანარმოს) იურიდიული პირის შესახებ ერთიანი კანონის შემუშავების თაობაზე, რომელსაც მომავალში სავაჭრო კოდექსიც უნდა შეეცვალა. იმ დროიდან მოყოლებული ქართველი და გერმანელი იურისტების ერთობლივი ინტენსიური მუშაობის შედეგად შეიქმნა კანონი მენარმეთა შესახებ.

სავაჭრო კოდექსის წარმოიშვა მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპაში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვაჭრები დიდ როლს თამაშობდნენ, ამიტომ მათი სამართლებრივი მდგომარეობის მონესრიგება კანონმდებლის მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. რის მერეც იქმნება სავაჭრო კოდექსი ჯერ საფრანგეთში, შემდეგ გერმანიაში. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სავაჭრო სამართალი ასევე განვითარდა გერმანული სავაჭრო კოდექსის (Handelsgesetzbuch) საფუძველზე. აღნიშნული კოდექსი მენარმეს Kaufmann–ს („მოვაჭრე კაცი“, „ვაჭარი“, იგივე „კომერსანტი“) უწოდებს. სავაჭრო კოდექსთან ერთად დღეს გერმანიაში მრავალი სპეციალური კანონია მიღებული, რომლებიც აწესრიგებენ კონკრეტულ მენარმესთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს (კანონები სააქციო საზოგადოების შესახებ, შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ, კოოპერატივების შესახებ და ა. შ.). აღნიშნული კანონების მიღებით გერმანიაში სავაჭრო სამართალი უკვე გასცდა თავის ისტორიულ ჩარჩოებს და საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სამენარმეო სამართალს. სამართლებრივი მონესრიგება ისეთი კაპიტალური საზოგადოების, როგორც იყო შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება სავაჭრო კოდექსებში, შეუძლებელი გახდა, რის გამოც წარმოიშვა ცალკე კანონების მიღების აუცილებლობა და ასე შეიქმნა კანონი შებენიერი პასუხისმგებლობის შესახებ.¹⁷ ზოგმა ქვეყანამ ეს საზოგადოება

¹⁶ ლადო ჭანტურია, კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში.

¹⁷ ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 1996.

სამოქალაქო კოდექსში განამტკიცა და იქ მოაწესრიგა (მაგ. შვეიცარია). ასეთივე მოწესრიგების მცდელობა იყო საქართველოს სსრ 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც.¹⁸

გერმანიის ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში 1892 წელს მიღებული იქნა სპეციალური კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ (GmbHG)¹⁹. ეს ფორმა მალევე იქნა გადაღებული, როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართალში.²⁰ გერმანიის მიერ შექმნილი სამენარმეო საზოგადოებათა ეს ფორმა უმაღლესად გავრცელდა მთელს მსოფლიოში. გერმანულ სამართალში მას ქვია Gesellschaft mit beschränkter Haftung – GmbH; ფრანგულ სამართალში მას ეწოდება société à responsabilité limitée; ინგლისურ სამართალში მას კერძო კომპანიებს უდარებენ, რადგან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არ არსებობს და უწოდებენ – Private company, close corporation.²¹

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი აშკარად ცდილობს, ამომწურავად მოაწესრიგოს ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპზე და ამ გზით გახადოს კანონი ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი. იგი აერთიანებს სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც გერმანიაში მოწესრიგებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, როგორცაა: სავაჭრო კოდექსი, კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ და კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ. ბოლო ორი კანონის დებულებები გერმანიაშიც თავდაპირველად სავაჭრო კოდექსის ნაწილს შეადგენდა, მაგრამ ყველა ნორმის ერთ კოდექსში გაერთიანების სურვილი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პროცესში თანდათან გაქრა.“²²

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას – როგორც მენარმეთა ორგანიზაციის ფორმას – არ აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც

¹⁸ იქვე.

¹⁹ RGBL. გვ. 477

²⁰ Waldner/Wölfel, So gründe und führe eine GmbH, 3. Aufl., 1993, gv.1

²¹ ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 1996.

²² ბეთანელი ქ., მასბაუმი მ., საკორპორაციო სამართალი საქართველოში, შურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6, #2-3, 2003წ., 280გვ.

სამეწარმეო საზოგადოებებს. მისი წარმოშობა ორმა გარემოებამ განაპირობა: პირველი, ეს იყო სააქციო საზოგადოებათა დაარსების რთული პროცედურის შეცვლა შედარებით მოსახერხებელით. მეორე, ეს იყო პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პირთა გაერთიანებების ისეთი ფორმები, როგორცაა სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება ან კომანდიტური საზოგადოება, ძალიან ბევრი უარს ამბობდნენ მათში მონაწილეობაზე, რადგან არ სურდათ მთელი პირადი ქონება ყოფილიყო კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის ობიექტი. უნდა ითქვას, რომ ამანაც განაპირობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამკვიდრება სავაჭრო სამართალში.

დროთა განმავლობაში კი დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება, რომელმაც შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ერთიანი ნორმატიული აქტი ამ სუბიექტის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. მითუმეტეს, რომ სრულიად სამართლებრივად იქნა დასაბუთებული უცხოეთში მოქმედი ცალკეული კანონების იმპორტის უაზრობა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. სასიხარულოა, რომ ეს გამოცდილება ყველაზე კონცენტრირებული სახით ქართულ კანონში გამოიხატა. მასში განმტკიცებული ბევრი დებულება სრულიად უცხოა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისთვის; მიუხედავად ამისა, შიში ახლის დანერგვისა არ უნდა გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი პროგრესისთვის.

2.1.1 შებლუდული შესაძლებლობის საზოგადოება საქართველოში ისტორიული რაკურსი

შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც საწარმოს ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა, ქართულ სამართალში პირველად აისახა 1991 წელს, როდესაც მიღებული იქნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. აღნიშნული კანონით საწარმოს ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ 1991 წ. კანონი, მუხლი 11 და 15). თუმცა 80-იანი წლების დასასრულს საქართველოში ადგილი ჰქონდა შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსი წარმონაქმნების შექმნას. აღნიშნულ სუბიექტს, რომელშიც ერთ-ერთ პარტნიორად უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოდიოდა, „ერთობლივ საწარმოს“ უწოდებდნენ. ერთობლივი საწარმოები იქმნებოდნენ საკავშირო ნორმატიული აქტის საფუძველზე და იგი ითვალისწინებდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირებასაც.²³

შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნებამ ქართულ სამართალში რამდენიმეჯერ განიცადა სახეცვლილება. კანონის თავდაპირველ (1994 წ.)

²³სსრკ. 1990 წლის კანონი „სსრკ-ში საწარმოების შესახებ“, მუხლი 2.

რედაქციაში 44-ე მუხლი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით: საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტის წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა - სანესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით.²⁴ მოგვიანებით (1996 წ. დეკემბერში) განხორციელებული ცვლილებები: მოცემული ცნებიდან ამოღებული იყო წინადადების ბოლო ნაწილი, რომელიც მითითებას აკეთებდა პარტნიორის პასუხისმგებლობაზე.²⁵ თუმცა 44-ე მუხლის ცვლილება ამით არ იქნა დასრულებული. 1999 წლის ივნისში კიდევ ერთხელ იქნა შეცვლილი აღნიშნული მუხლი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება დღეისთვის კი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: - **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებაზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.**²⁶

შპს-ის სახელწოდებაში ჩართული სიტყვები - „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ ინვევდა ერთგვარ გაუგებრობას საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მოცემული სიტყვები ისე გაიგებოდა, თითქოს საქმე ეხებოდა პარტნიორების პასუხისმგებლობის შეზღუდვას შპს-ის კრედიტორების წინაშე. ამასთან, შეზღუდვის მოცულობა განისაზღვრებოდა შესატანის ოდენობით. ამგვარი მოსაზრება განმტკიცებული იყო აგრეთვე 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქართულ კორპორაციულ სამართალში. ამ პერიოდის კანონმდებლობაში, პირდაპირ იყო მითითებული, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია მისი შესატანის ოდენობით („სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ 1991 წლის კანონი, მული 15, აგრეთვე დებულება

²⁴საქართველოს რესპუბლიკის კანონი მენარმეთა შესახებ, გამომცემლობა JUS, თბილისი 1994.

²⁵საქართველოს რესპუბლიკის კანონი მენარმეთა შესახებ, 1997 წ. 5 იანვრის მდგომარეობით, თბილისი 1997, გამომცემლობა „სამართალი“

²⁶ მიგრიული რ., შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი ინბოლვეციის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004.

„შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ, მუხლი 11). კანონის ამ ნორმას მხარს შპს-ის შესახებ მაშინდელი პირველი კომენტარიც უბამდა.²⁷

ამრიგად, 1994 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მენარმეთა შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან. აღნიშნული კანონი განამტკიცებდა შვიდ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას: ინდივიდუალური სანარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), სააქციო საზოგადოება (სს), კოოპერატივი და სახაზინო სანარმო, რომელიც შემდგომში გაუქმდა.

ამჟამად კი განხილვის საგანი იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც მსოფლიოში სამენარმეო საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმირება ერთ პირსაც შეუძლია, რომლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია. დაფუძნება საკანონმდებლო დონეზე იურიდიული პირის სტატუსით მინიჭებით სრულდება.²⁸

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები უპირველესად ადგენენ წესდებას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება;
2. საზოგადოების ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი);
3. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. თუ პარტნიორი იურიდიული პირია, მაშინ უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები;
4. საზოგადოების საქმიანობის საგანი;

²⁷ მჭედლიშვილი ნ., მიგრაიული რ., „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კრებული), თბილისი 1992 წელი, გვ.18-19.

²⁸ „მენარმეთა შესახებ კანონი 42-ე მუხლი.

5. მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;
6. საწესდებო კაპიტალის ოდენობა, მისი შევსების ფორმა (ფულადი თუ არაფულადი), საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ;
7. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, ფორმა (ფულადი თუ არაფულადი), საბუთი განხორციელებული შესატანის თაობაზე და თითოეული პარტნიორის წილი;
8. წარმომადგენლობის უფლებამოსილება;
9. ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე, მისი ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

დამფუძნებლები, წესდების საკითხებზე შეთანხმების შემდეგ, იწვევენ პარტნიორთა კრებას, რომელიც ირჩევს დირექტორატს. პარტნიორთა კრების სხდომის ოქმი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საზოგადოების წესდებას ხელს უნდა აწერდეს ყველა დამფუძნებელი პარტნიორი. საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია რეგისტრაციისათვის, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საწარმოს უფლებები და მოვალეობები წარმოიშვება მხოლოდ საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.²⁹

საზოგადოების განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

1. საზოგადოების წესდება;
2. არაფულადი შესატანი დაფუძნებისას შესატანის შეფასებისას დამადასტურებელი საბუთი (რომელსაც იძლევა დამოუკიდებელი ექსპერტი);
3. დოკუმენტი დირექტორების დანიშვნის შესახებ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, მისი წევრების დანიშვნის შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იქმნება პარტნიორების კაპიტალის გაერთიანების შედეგად. მისი არსებობა არ არის მასში წევრობაზე

²⁹მენაბდიშვილი ს., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამოქალაქო სამართალი (II) 1999,14

დამოკიდებული და საზოგადოებიდან პარტნიორის გამოსვლა არ იწვევს მის ავტომატურად დაშლას. იგი შეიძლება დაარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი შეიძლება იყოს სახელმწიფოც. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, მისი დაარსება შეუძლია ერთ პირსაც. მას აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები - პარტნიორთა კრება და დირექტორატი. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, ამ ფორმის საზოგადოებისათვის იგი ფაკულტატური ორგანოა, დამოკიდებულია პარტნიორთა შეთანხმებაზე და თუ ეს ორგანო არსებობს, მაშინ მასზე ვრცელდება სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსათვის დადგენილი წესები.³⁰

2.1.2 შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის ორგანოები

შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის სავალდებულოა მართვის ორი ორგანო: პარტნიორები, როგორც საზოგადოების ნების ჩამომყალიბებელი ორგანო და ხელმძღვანელები (დირექტორები), როგორც მოქმედი ორგანო.³¹ სამეთვალყურეო საბჭო შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის ფაკულტატურ ორგანოს წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საუბარია ისეთ საზოგადოებებზე, რომელთა სამეთვალყურეო საბჭოში მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები სავალდებულო წესით მონაწილეობენ. ასეთ შპს-ში სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოა.³² მისი ხელმძღვანელის სახელწოდებას („დირექტორი“, „პრეზიდენტი“ თუ „გამგეობა“) წყვეტენ თვითონ

³⁰მენაბდიშვილი ს., შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამოქალაქო სამართალი (II) 1999,14

³¹Schmidt, Gesellschaftsrecht, 4Auffl. S. 994; 45 GmbHG.

³²ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2006 წ. გვ 137.

საზოგადოების პარტნიორები. მას უნდა ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე დირექტორი, რომელიც უნდა იყოს შეუზღუდავად ქმედუნარიანი პირი და მას არ უნდა გააჩნდეს თანამდებობის დაკავებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები (ნასამართლობა, თანამდებობის დაკავების აკრძალვა და ა. შ.). შპს დირექტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც პარტნიორები, ისე გარედან მონვეული პირები. იმ შემთხვევაში, როცა შპს ახლავს სამეთვალყურეო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორი.³³

დირექტორის დანიშვნა ხდება პარტნიორების მიერ საზოგადოების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში სათანადო აღნიშვნის გაკეთებით. დირექტორის დანიშვნის მეორე გზა არის პარტნიორთა გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, როცა შპს-ის სავალდებულო ორგანოს წარმომადგენს სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორებს ნიშნავს ეს უკანასკნელი და არა საზოგადოების პარტნიორები. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და მისი შეცვლა პარტნიორებს საზოგადოების წესდებით არ შეუძლიათ.

დირექტორის დანიშვნის ვადას კანონი არ განსაზღვრავს; ამიტომ დირექტორთა უფლებამოსილების ვადა იმ პარტნიორების გადასაწყვეტია, რომლებიც ნიშნავენ დირექტორს. ეს უკანასკნელი კი შეიძლება დაინიშნოს როგორც განსაზღვრული ვადით, ისე უვადოდაც.³⁴

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორების დანიშვნისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორ სამართლებრივ აქტს: საკორპორაციო-სამართლებრივს (ანუ ორგანულს) და სახელშეკრულებო-სამართლებრივს. პირველისთვის დამახასიათებელია ის, რომ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს, ხოლო მეორეს მიმართ გამოიყენება სახელშეკრულებო სამართლით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის

³³Hommelhof/Kleindiek in Lutter/Hommelhoff, GmbHG-Gesetz. Kommentar, (2004) 6 Rn 16.

³⁴Hommelhof/Kleindiek in Lutter/Hommelhoff, GmbHG-Gesetz. Kommentar, (2004) 6 Rn 25.

წესები. გადა ამისა, დანიშვნის საკორპორაციო-სამართლებრივი აქტი ღირვექტორს აქცევს შპს-ის ორგანოდ.³⁵

მართალია, შპს-ის ღირვექტორი საზოგადოების მმართველი ორგანოა, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმეებს, წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში, მაგრამ მისთვის არაა დამოუკიდებულობის ისეთი დამახასიათებელი ხარისხი, როგორც აქვთ სააქციო საზოგადოების გამგეობის წევრებს. კერძოდ, შპს-ის მართვისთვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ პარტნიორთა მითითებების შესრულება სავალდებულოა ღირვექტორებისათვის.³⁶

ამგვარად, გერმანულ საკორპორაციო სამართალში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სუბიექტს წარმოადგენენ შპს-ში ღირვექტორები (ხელმძღვანელები) და, თუკი არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ მისი წევრებიც. პასუხისმგებლობა არ ვრცელდება საკონსულტაციო საბჭოს წევრებზე, მსხვილ აქციონერებზე, მრჩევლებსა და სხვა თანამდებობის პირებზე მაშინაც კი, როცა მათ ფაქტობრივად ისეთი გავლენა აქვთ, როგორც გამგეობის წევრებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ფაქტობრივ ორგანოდ იქნენ მიჩნეულნი. პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ არც იმ პირებს, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნაცვლად იღებენ მონაწილეობას საბჭოს სხდომაზე ან წერილობით გადასცემენ საბჭოს წევრების ხმას. ეს აიხსნება მათი მხრიდან საზოგადოებასთან ორგანული კავშირის არ არსებობით.³⁷

³⁵Hueck/Fastrich in Baumbach/Hueck, GmbHG-Gesetz. 17. Aufl. 2000. 6 , Rn13

³⁶Schmidt, Gesellschaftsrecht, 4Aufl. S. 995

³⁷ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2006 წ. გვ 140

2.2. შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი ნიშნები

იმისთვის რომ სრულად იქნეს წარმოჩენილი შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ბუნება, საჭიროა ერთობლივად იქნას დახასიათებული მისი ზოგადი და კონკრეტული ნიშნები.

შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი ნიშნებია: სამართალსუბიექტურობა, მენარმეობა, კორპორაციულობა, კაპიტალურობა, (საწესდებო კაპიტალის ქონა), საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა; ხოლო კონკრეტული ნიშნებია: საწესდებო კაპიტალის შესატანად დაყოფადობა,

პარტნიორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა საზოგადოების ვალდებულებებისათვის და სხვ. განვიხილოთ ეს ნიშნები.

სამართალსუბიექტურობა - ქართული სამართლის მიხედვით შპს არის ისეთივე იურიდიული პირი³⁸, როგორც გერმანულ სამართალში³⁹. მას აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. ამიტომ სწორედ შპს, როგორც სამართლის სუბიექტი, და არა მისი პარტნიორები, არის ყველა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოიხატება ზოგად უფლებაუნარიანობაში. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე კი, შპს შეიძლება იყოს ნივთების მესაკუთრე, უფლებებისა და მოთხოვნების მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე სხვა კომერციული იურიდიული პირის პარტნიორი და ა.შ. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე⁴⁰, შპს-ს ასევე შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი, მათ შორის, წესდებით გაუთვალისწინებელი საქმიანობა; შეუძლია იქცეს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ისე, რომ მისი წესდება არ უთითებდეს მსგავსი მონაწილეობის სახეობასა და ფარგლებზე.⁴¹

შპს-ის უფლებაუნარიანობა (სამართალსუბიექტურობა) იწყება შესაბამის რეესტრში მისი რეგისტრაციისთანავე. სწორედ ამ მომენტიდან შპს გვევლინება, როგორც კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სუბიექტი⁴², ხოლო გერმანულ სამართალში მისი, როგორც იურიდიული პირის წარმოშობას უკავშირებს მის რეგისტრაციას სავაჭრო რეესტრში.⁴³

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ასევე შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, ანუ მას ზოგადი უფლება უნარიანობის გარდა, გააჩნია პროცესუნარიანობაც. პროცესზე იგი წარდგენილი იქნება დირექტორის მიერ. ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები

³⁸ კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 2.6

³⁹ GmbHG, §13.1

⁴⁰ კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 1.1

⁴¹ იქვე.

⁴² კანონი „მენარმეთა შესახებ“, 1994 წ. მუხლი 2.5.

⁴³ Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl. München 1988, §10, Rdn.4, gv. 160

მიმართულია უშუალოდ შპს-ის და არა პარტნიორების ან დირექტორების სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ. თავისი სამართალსუბიექტურობიდან გამომდინარე, შპს არის აგრეთვე გაკოტრებადუნარიანი.

მენარმეობა - ქართულ სამართალში შპს ხასიათდება, როგორც სამენარმეო საქმიანობის მონაწილეს, ანუ მენარმეს. მის დასახასიათებლად ქართული სამართალი ჩამოთვლის რამდენიმე ნიშანს, კერძოდ: მოგების მიზანი, საქმიანობის მართლზომიერება და არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა. შესაბამისად ქართული სამართალი არ განიხილავს მენარმედ, თუკი იგი მრავალჯერადად, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად არ ახორციელებს რაიმე მართლზომიერ საქმიანობას, და იმავე დროს არ გააჩნია მოგების მიზანი.⁴⁴

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი შპს-ს მიიჩნევს სავაჭრო საზოგადოებად⁴⁵. რა თქმა უნდა, სავაჭრო საზოგადოება ზოგადი ცნებაა იმ საზოგადოების დასახასიათებლად, რომლებიც ეწევიან სამენარმეო საზოგადოებას, ანუ წარმოადგენენ მენარმეებს. ერთადერთი განსხვავება, რომელიც თავს იჩენს ქართულ და გერმანულ შპს-ებს შორის, არის საქმიანობის მიზანი. ქართული სამართალი სამენარმეო საზოგადოებების, მათ შორის შპს-ის საქმიანობის მიზნად მოგების მიღებას ასახელებს.⁴⁶ თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა, ვინც ეწევა სამენარმეო საქმიანობას, აუცილებლად მენარმეა. სამენარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს არაკომერციული (არასამენარმეო) სუბიექტიც, თუმცა მას უნდა გააჩნდეს დამხმარე ხასიათი და ემსახურებოდეს საერთო მიზანს.⁴⁷

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი განსხვავებით ქართული სამართლისაგან, მენარმეს არ ზღუდავს რაიმე კონკრეტული მიზნით. მენარმეს არ გააჩნია მოგების მიღების მიზანი. ეს კი თავის მხრივ არ გამოირიცხავს შპს-ის მეშვეობით აგრეთვე არაკომერციული საქმიანობის განხორციელებას. ამიტომაც არის, რომ გერმანიაში შპს-ის ფორმით გვხვდება პროფესიული გაერთიანებები,

⁴⁴კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 1.1

⁴⁵GmbHG, §13.3

⁴⁶„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 1996 წლის კანონი, მუხლი 2.

⁴⁷სამოქალაქო კოდექსი მუხლი 30.1

საპენსიო და ურთიერთდახმარების სალაროები⁴⁸. გერმანიაში შპს იქმნება ასევე საჯარო ამოცანების განსახორციელებლად. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული იურიდიული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება“ (GTZ), რომელიც გერმანიის მთავრობის სახელით და გერმანიის საბიუჯეტო (გადამხდელთა) ფინანსებით ახორციელებს ისეთ საჯარო ფუნქციებს, როგორცაა განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა.⁴⁹

ცალკე უნდა აღინიშნოს შპს-ის, როგორც მენარმის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა სამენარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად და ორგანიზაციულად განხორციელება.

დამოუკიდებლად განხორციელებაში გულისხმობს, რომ შპს თავისი სახელით, აგრეთვე თავისი ქონებრივი რისკით იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაშიც იგი არ არის დამოკიდებული სამართლის სხვა სუბიექტების ნებაზე. იგი სამართლებრივად თვითმყოფადი სუბიექტია. შესაბამისად სწორად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ მენარმის დამოუკიდებლობაში იგულისხმება მისი სამართლებრივი და არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა.⁵⁰

რაც შეეხება შპს-ის ორგანიზებულობას, იგი პირველ რიგში, გამოხატულებას პოულობს კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში. მეორე, მას გააჩნია განსაზღვრული მმართველობის ორგანოები, რომელთა მეშვეობითაც იგი ორგანიზებულად წარმართავს თავის სამენარმეო საქმიანობას. და მესამე, მასში კანონით დადგენილი წესით არის ორგანიზებული საბუღალტრო საქმე.⁵¹

ქართული სამენარმეო სამართალი მენარმეს საწარმოსთან აიგივებს. მენარმეთა შესახებ კანონში ჩამოთვლილი სამენარმეო საზოგადოებები

⁴⁸Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Kommentare und Formularbuch, 8. Aufl. München 1992, gv. 7

⁴⁹ მიგრაიული რ., შპს ვაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2004 წელი

⁵⁰ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა თბ.1998, გვ. 4

⁵¹ მიგრაიული რ., შპს ვაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2004 წელი გვ 18

იმავდროულად საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს წარმოადგენენ⁵². შესაბამისად, საწარმოდ განიხილება შპს-ც.

გერმანული სამართალი შპს-ს არ განიხილავს საწარმოდ. საწარმოს აქ აქვს მხოლოდ სამართლის ობიექტის დანიშნულება. მას მართვას და უძღვება კონკრეტული მენარმე, მათ შორის შპს, როელიც განიხილება როგორც საწარმოს მფლობელ სუბიექტად. ამასთან აღნიშნული ფუნქცია შპს-ს, როგორც მენარმეს, აქვს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სამენარმეო საქმიანობას ახორციელებს.

სამენარმეო საზოგადოებასა (მენარმესა) და საწარმოს შორის განსხვავება თავს იჩენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, მაგალითად საზოგადოება გაუქმდება და მისი ლიკვიდაციისას მოხდება მისი მთლიანი ქონების, მათ შორის საწარმოს მთლიანად გასხვისება. ლიკვიდაციის შემდეგ საზოგადოება გაქრება რეესტრში ამოშლის შედეგად, ხოლო გასხვისების შემდეგ საწარმო გააგრძელებს არსებობას უკვე სამართლის სხვა სუბიექტის მფლობელობაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კორპორაცია - შპს

არის გაერთიანების განსაკუთრებული ფორმა, რადგან იგი არ არის დამოკიდებული თავის პარტნიორებზე, კერძოდ, კი მათ ინდივიდუალურ თვისებებზე. ამასთან, პარტნიორის სიკვდილი ან მისი გამოსვლა საზოგადოებიდან არ გამოიწვევს საზოგადოების არსებობის შეწყვეტას და მის დაშლას⁵³. გერმანიაში ასეთი სახის კაპიტალური გაერთიანებები, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, განიხილება როგორც კორპორაცია (Körperschaft).⁵⁴

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის კაპიტალური საზოგადოება - რადგანაც პარტნიორის მონაწილეობა მასში დაფუძნებულია არა მათ პირად შრომაზე, არამედ კაპიტალის ჩადებაზე - თითოეულ პარტნიორს შეაქვს განსაზღვრული ქონებრივი შესატანი (კაპიტალი) საზოგადოებაში სპეციალურად

⁵² კანონი „მენარმეთა შესახებ“ მუხლი 2.1.

⁵³ ჭანტურია ლ., „შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. გვ 302

⁵⁴ K. Schmidt, PG. 543 ff.

ამისთვის შექმნილ კაპიტალში (Stammkapital). სანესდებო კაპიტალი გამოყოფილია სწორედ პარტნიორთა შესატანად.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა ნიშნავს იმას, რომ ის შემოიფარგლება მხოლოდ მთელი მისი ქონებით. შპს პასუხისმგებელია არა მხოლოდ სანესდებო კაპიტალში არსებული ქონებით, არამედ სხვა ქონებითაც, რომელიც არ არის შეტანილი სანესდებო კაპიტალში, მაგრამ საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს და განთავსებულია მის ბალანსზე, როგორც აქტივი. მთლიანი ქონებით შპს-ის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს მისი სამართალსუბიექტურობიდან. იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქონებით.⁵⁵

2.2.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობა

⁵⁵მიგრიაული რ., შპს გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2004 წელი გვ20

დღეს არსებული მონესრიგებით პარტნიორის პასუხისმგებლობა განსხვავებულად დგება იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორი ბოროტად არ გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. შესატანის სრულად შეუტანლობის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ შეუტანელი შესატანის ოდენობით. ხოლო პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პარტნიორი სრულად აგებს პასუხს მაშინაც კი, როდესაც მას შესატანი სრულად აქვს შეტანილი.

მას აქვს საკუთრების უფლება, ამ საკუთრებაზე პასუხისმგებლობის გარეშე. მისი დაშვება არსებითი გადახვევაა საკუთრებისა და ხელშეკრულების იმ საუკუნეობრივი პრინციპებიდან, რომელზეც შპს-ის კონცეფციის შემოღებამდე ვაჭრობისა და ინდუსტრიის ზრდა იყო დამოკიდებული. რა იყო ამ დაშვების მიზეზები და რა შედეგი მოჰყვა ამ დაშვებას?⁵⁶ ლონდონური „ტაიმსი“ ჯერ კიდევ 1824 წლის 25 მაისის ნომერში წერდა, რომ არაფერი იყო იმაზე მეტად უსამართლო, ვიდრე რამდენიმე პირისთვის უფლების მიცემა, მოეხდინათ თავიანთი სახელისა და აქტივებისათვის საზოგადოების თვალში ღირსების მინიჭება და გარკვეული დროის შემდეგ არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აქტივების არასაკმარისობის შემთხვევაში, თავიანთი ურისკო ბედის გამოსობით დაეტოვებინათ სატყუარად სანყალი მოტყუებული თევზებისთვის.⁵⁷ მიუხედავად იმდროინდელი მძაფრი კრიტიკისა, ბუნებრივია, არსებობს ამ პრინციპის დამკვიდრების რაციონალური ახსნა-განმარტებაც. შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი პარტნიორის აქტივების საზოგადოების აქტივებისაგან განცალკევებასა და გამოყოფას განაპირობებს. საზოგადოებასა და მის პარტნიორებს შორის სქელი და გამჭირვალე ფარი - „კორპორატიული საფარველი“ დგას. ამ ფარის გადალახვა და მასში შეღწევა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეუძლებელია. სწორედ შპს-ის პრინციპი უბიძგებს პასიურ და გამოუცდელ ინვესტორებს, განახორციელონ ინვესტიციები, ნახონ სარგებელი დივიდენდების მიღებით, გაასხვისონ წილები საზოგადოების

⁵⁶ Hicks J., Limited Liability: the pros and cons, in Orhnial T. (ed.), Limited liability and the corporaθ on, London, 1982, 11

⁵⁷ Halpern P., Trebilcock M., Turnbull S., An Economic Analysis of Limited Liability In Corporaθ on Law, The University of Toronto Law Journal, Vol. 30, №2, Spring 1980, 117-150, 117.

მენეჯმენტში პირდაპირი ჩარევისა და საკუთარი აქტივების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. ამდენად, შეზღუდული პასუხისმგებლობა, კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტის“ როლს ასრულებს. ის საშუალებას აძლევს კომპანიებს მოახდინონ დიდი კაპიტალის მობილიზება და მოგების მაქსიმალიზება.⁵⁸

მაშასადამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ შპს-ის ქონება ემიჯნება მისი პარტნიორის ქონებას. პარტნიორის პირადი ქონება არ ზარალდება შპს-ის ვალების გამო. პარტნიორის ერთადერთი „ზარალი“ იმაში გამოიხატება, რომ იგი კარგავს თავის შესატანს, რომელსაც საზოგადოება გამოიყენებს თავისი ვალების დასაფარავად.⁵⁹ პარტნიორს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში მიიღოს ეს ქონება ნატურით, თუკი იგი, რა თქმა უნდა, სახეზეა; ანდა მოითხოვს შეტანილი ქონების ღირებულების ექვივალენტი ფულადი თანხა.⁶⁰ ამრიგად, პარტნიორი არავითარ ქონებრივ ზარალს თუ უფლებრივ დანაკლისს არ განიცდის საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებისას - მას როგორც პარტნიორს პასუხს არავინ მოსთხოვს.

⁵⁸ Malik M.K., International Aspects of Corporate Law and Governance, University of Warwick, UK, part of fulfillment of the requirements of LLM for the session 2005-2006.

⁵⁹Wandler/Wölfel, So gründe und führe eine GmbH, 3. Aufl., München, 1993, gv. 4

⁶⁰ Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, gv. 198

2.2.2 შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლის განვითარების საჯარო და კერძო სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

სამართლებრივი სახელმწიფოს და მაღალი კულტურის მქონე საზოგადოების შენება მეტად რთული პრინციპია, რომელიც შრომით და დასახული მიზნის მიმართული სვლით მიიღწევა. საქართველომ, რომელმაც მნიშვნელოვანი ეპოქალური ქარტეხილები გამოიარა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპული იდეალებისკენ სწრაფვა და განვითარება, დასავლურ სტანდარტზე გადასვლა. სამართლის განვითარება კი ამ პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ ხელისუფლების მიერ მიღებული სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტის სამენარმეო ურთიერთობების მონესრიგების ჭრილში შესწავლა წარმოადგენს. 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ სახელმწიფომ სხვადასხვა სფეროს მონესრიგება დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტების მიღებით დაიწყო. სახელმწიფომ მე-20 საუკუნის უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის სამეფო შემადგენლობაში გაატარა, რის გამოც ახალი საკანონმდებლო აქტების შედგენის საკმარისი საფუძველი არ გააჩნდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამენარმეო და სააქციო სამართალი, რადგანაც სააქციო (საკორპორაციო) სამართლის განვითარება დამოუკიდებელი, თავისუფალი კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი.⁶¹ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს გამოცდილება არ ქონდა. სამენარმეო სამართალი აუცილებლად თავისუფალი საზოგადოების სამართალია, მისი წინამძღვარი კი პიროვნების თავისუფლებაა.⁶² შესაბამისად, ახალაშენებულ სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოებს სამენარმეო, სააქციო და საკორპორაციო

⁶¹ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი 1, თბ. 2010 გვ 72.

⁶² ბურდული ი., სამენარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში შედარებითი სამართლებრივი კვლევა) თბ. 2007, გვ 91.

ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ბაზის ახლიდან შექმნა მოუწიათ. საინტერესოა იმის განხილვა , თუ რა გზა განვლო ჩვენმა ქვეყანამ დღევანდელ დღემდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 25 ივლისს „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონი მიიღო, რომელიც მენარმეობის ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავდა. აღსანიშნავია, რომ კანონი „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ გაცილებით ფართო სპექტრს აწესრიგებდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონს უამრავი ხარვეზი ქონდა, ეს იყო პირველი ნორმატიული აქტი, რომელმაც სამენარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გააერთიანა.⁶³ სამენარმეო საქმიანობისათვის კანონით ათი სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იყო დადგენილი.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამონათვალ ხელოვნურად იყო გაზრდილი და ფუნქციურ-ტიპოლოგიურად მსგავსი წარმონაქმნები განცალკევებულ ტიპებად განიხილებოდნენ. მაგალითად ერთი პირის სანარმო და შეზღუდული პასუხისმგებლობის სანარმო, არსობითად ერთი და იგივეა. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ შპს-ს ერთზე მეტი, ხოლო ერთი პირის სანარმოს მხოლოდ ერთი მენარმე ჰყავდა. ასევე, სახელმწიფო სანარმო და ადგილობრივი სანარმო ცალკე ტიპებად იყო გამოყოფილი, შინაარსობრივად კი ორივე შპს გახლდათ.⁶⁴

1994 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა „მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონი მიიღო. იგი სამენარმეო საქმიანობის მიმართ ახლებულ მიდგომას წარმოაჩენდა და მასში გერმანული სული მძლავრობდა.⁶⁵ გარდა ამისა , ახალი კანონი მენარმე სუბიექტების საქმიანობაზე იყო მთლიანად ორიენტირებული და სამენარმეო საქმიანობასთან თანამკვეთი კანონმდებლობის მოწესრიგებას არ

⁶³ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სარამთლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბ. 1996, 36.

⁶⁴„ადგილობრივი სანარმოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N 183 1, 08.23.1993 (ძალადაკარგულია 28.10.1994)

⁶⁵იქვე, მე-17 მუხლი.

მოიცავდა. სახელმწიფო სანესდებო კაპიტალთან მიმართებით მკაცრ კონტროლს აწესებდა. სავალდებულო სანესდებო კაპიტალის განაწილება იმპერატიულად იკრძალებოდა. სანესდებო კაპიტალის გაზრდა დამატებით შენატან ან ახალი პარტნიორის შემოსვლის გზით დაიშვებოდა, რაც აუცილებლად სახელმწიფო რეესტრში უნდა დარეგისტრირებულიყო.⁶⁶ შპს -ს შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილება საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების უზრუნველსაყოფად დამატებით ბერკეტებს აწესებს. საზოგადოებას სარეზერვო ფონდის შექმნა ევალებოდა. თუმცა არასაკმარისი სამართლებრივი მონესრიგებისა და არასწორი სანარმო პრაქტიკის გამო, სავალდებულო სანესდებო კაპიტალმა ვერ გაამართლა, შესაბამისად ვერ იმოქმედა ისე, როგორც ეს გერმანიაში ხდებოდა და 2008 წლის 14 მაისის ცვლილებებით იგი ყველა კაპიტალური ტიპს საზოგადოებაში გაუქმდა.

მენარმე სუბიექტის რეგისტრაცია თითქმის ყველა ქვეყანაში საჯარო ორგანოების მიერ ხდება. აღსანიშნავია, რომ შპს არასრულწლოვანი პირის მენარმედ ყოფნა იკრძალებოდა⁶⁷. 1994 წლის კანონით საზოგადოებათა მმართველობის საკითხში ახალი ეტაპი იწყება კანონის მე-9 მუხლით საზოგადოების ყველა ფორმის მმართველი ორგანოების ძირითადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრა. შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება ყველა პარტნიორს მიენიჭა. აღსანიშნავია, ის რომ კანონი შპს-ს პარტნიორად მხოლოდ ფიზიკურ პირს განიხილავდა. გარდა ამისა, იმ გადანყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას სცდებოდა, ყველა პარტნიორის თანხმობას საჭიროებდა.⁶⁸ შპს-ს უმაღლეს მმართველობით ორგანოდ პარტნიორთა კრება დადგინდა, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შემდგარიყო.⁶⁹ დირექტორი შპს-ს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი თანამდებობის პირი გახლდათ, რომლის მიმართ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობა დადგინდა. რაც შეეხება სამეთვალყურეო ორგანოებს, კანონით სანესდებო ავტონომია დაწესდა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოლის ან არ ყოლის არჩევის

⁶⁶⁶იქვე მუხლი მე-9.

⁶⁷იქვე მე-5 მუხლი.

⁶⁸იქვე 22 -ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶⁹იქვე 41-ე მუხლი

შესაძლებლობა პარტნიორებს მიეცათ. გამონაკლისი მხოლოდ იმ შპს-ზე მოქმედებდა, რომელშიც სახელმწიფო 50%-ზე მეტი წილის მფლობელი იყო. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ შპს მონესრიგებ საკმაოდ მკაცრი იყო. 2008 წლის 14 მარტის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ შპს-ს მონესრიგებელი თავი მკვეთრად შემცირდა.⁷⁰

შპს-ში მისი პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე, პარტნიორთა უფლებები უფრო ფართო და იმპერატიულია. პარტნიორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწიოს კრება. ყველა პარტნიორს ნებისმიერ დროს შეუძლია, საზოგადოებრივი ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვოს. პარტნიორის მიერ მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში, სხვა პარტნიორებს აქვთ უფლება, რომ სასამართლოს გზით პარტნიორი გარიცხონ.

1994 წლის „მენარმეთა შესახებ“ კანონის თავდაპირველი რედაქცია შპს-ს პარტნიორებს საკუთარი წილის შექენას, აგრეთვე, აგრეთვე საზოგადოების ნებართვის გარეშე წილის ნაწილობრივ გასხვისებას მკაცრად უკრძალავდა, ხოლო წილის დათმობისთვის სანოტარო დამონშების ვალდებულება იყო დადგენილი.⁷¹ დღევანდელი რედაქცია ამ მიმართულებით უფრო მშრალია, ერთადერთი მკაცრად დადგენილი პარტნიორის უფლება საზოგადოების კონტროლის უფლება და კეთილსინდისიერების ვალდებულება გახლავთ, სხვა ყველაფერი სანესდებო ავტონომიის ფარგლებშია მოქცეული.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს სამენარმეო კანონმდებლობის განვითარების ისტორიაში სამი ეტაპის გამოყოფა შეიძლება. პირველი ეტაპია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1991 წლის 25 ივნისიდან და გრძელდება 1994 წლის 28 ოქტომბრამდე. ამ ეტაპისთვის აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები არასაკმარისი და ხარვეზიანია, რადგან ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ღიად ტოვებდა.

⁷⁰ ცერცვაზე ა., სამენარმეო სამართლის საჯარო და კერძო სამართლებრივი ასპექტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ლადო ჭანტურიას 50 საიუბილეო გამოცემა. თბ 2013 გვ. 22

⁷¹ იქვე 46-ე მუხლი

თავისთავად ახალი ეტაპი პარლამენტის მიერ 1994 წლის „მენარმეთა შესახებ“ კანონის მიღებით იწყება. ეს კანონი გერმანული სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების ჰიბრიდი იყო. მესამე ეტაპი კი 2008 წლის 14 მარტს კანონში განხორციელებულ ფუნდამენტურ ცვლილებებს უკავშირდება. კანონი მეტწილად კერძო სამართლებრივ საწყისებზე გადადის და დამატებითი ალტერნატიული მოწესრიგების ფუნქციას იძენს.

2.3. შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით- სამართლებრივი ანალიზი

მსოფლიო აქტუალური გლობალიზაციის, თანამშრომლობის, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების სამართალსუბიექტების ურთიერთინტეგრაციის ტენდენცია სამენარმეო სამართლის ამუშავებულ მსოფლიო სისტემების თავისებურებათა ცოდნის აუცილებლობას განაპირობებს. სისტემების განსხვავებები, რომლებიც განპირობებულია იმით, რომ თუ როდის ჩამოყალიბდა ისინი, ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობით, კულტურული განსხვავებებით და თავისებურებებით, ჩვეულებების სხვაობით არ შეიძლება არ ასახულიყო ქვეყნის სამართლებრივ სისტემებზე. სხვაობა და თავისებურებები კი მრავალ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომელსაც გადაწყვეტა ესაჭიროება.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ წინა პლანზე წამოწია სამენარმეო საქმიანობის ახალი ფორმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებებს, მათ შორის უნდა აღინიშნოს შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების როლი.

დღეს ქართულ სამართალში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ნორმატიულ აქტებში აისახოს მოსახერხებელი ობიექტების ცნებები. ასევე სამენარმეო სამართალშიც, სადაც გადმოცემულია ყველა საზოგადოების, მათ შორის შპს-ის ლეგალური დეფინიციაც.

როგორც უკვე აღინიშნა შპს კაპიტალის გაერთიანების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების საქმიანობაში თავის წევრთა უშუალო მონაწილეობას არ მოითხოვს. ამ კომერციული ორგანიზაციის მახასიათებელს წარმოადგენს ის, საწესდებო კაპიტალი დაყოფილია მონაწილეებზე და ეს უკანასკნელი საზოგადოების ვალებზე პასუხისმგებელი არ

არიან. შპს -ის დაფუძნებისაკენ სწრაფვა განპირობებულია მისი მარტივი სამართლებრივი აგებულებით და გამარტივებული მმართველობით. ასევე მისი დაარსების პროცედურა უფრო ლიბერალურია.

აღსანიშნავია, რომ შპს ცნებამ ქართულ სამართალში რამდენიმეჯერ განიცადა სახეცვლილება. შპს-ის ცნების რამდენჯერმე შეცვლა ადასტურებს ქართველ კანონმდებელთა მცდელობას, ზუსტად ასახონ და წარმოაჩინონ ამ საზოგადოების სამართლებრივი ბუნება. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, შპს-ის ცნების ბოლო ფორმულირება სრულყოფილად ასახავს და გადმოცემს მის დამახასიათებელ ნიშნებს.

2.3.1. შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის სამართალში

ქართული სამართლისაგან განსხვავებით, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ გერმანულ კანონში არ არის ცალკე მოცემული შპს-ის ცნება. თუმცა ამას არ შეუძლია ხელი გერმანელი მეცნიერებისათვის, სხვადასხვა ინტერპრეტაციით გადმოეცათ იგი ლიტერატურაში. ეს შესაძლებელი გახდა შპს-ის შესახებ კანონის სხვადასხვა მუხლზე დაყრდნობით, რომელშიც გადმოცემულია შპს-ათვის დამახასიათებელი სხვადასხვა კრიტერიუმი.⁷²

გერმანულ ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში შპს პირველად მე-19 საუკუნის ბოლოს იქნა შემოღებული, როდესაც 1892 წელს მიღებული იქნა სპეციალური კანონი შპს-ის შესახებ (GmbHG).⁷³ შპს-ის სამართლებრივი ფორმის დამკვიდრებით კანონმდებელს სურდა სააქციო საზოგადოების გვერდით შეექმნა კაპიტალური საზოგადოების მეორე ფორმა, რომელშიც კაპიტალის ჩადება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო პირადი აქტიურობის და რისკის გარეშე.⁷⁴ კანონის შემოღების შემდეგ შპს სწრაფად გავრცელდა გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. ეს

⁷²მიგრიაული რ., შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებით ანალიზი ინზოლვენციის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004 გვ.14

⁷³esetzbetreffend die GesellschaftenmitbeschränkterHaftung (GmbH-Gesetz). RGl. gv. 477

⁷⁴ Waldner/Wölfel, So gründe und führeicheine GmbH, 3. Aufl., 1993, gv.1

ფორმა მალე გავრცელდა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართალში.⁷⁵

გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ერთი ან რამდენიმე პარტნიორისგან შემდგარი საზოგადოება, საკუთარი სამართალსუბიექტურობით, რომელსაც აქვს შესატანად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი.⁷⁶ ანდა შპს არის სავაჭრო საზოგადოება საკუთარი სამართალსუბიექტურობით, რომელიც შეიძლება შექმნას კანონით ნებადართული ნებისმიერი მიზნისთვის და მისი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოების ქონება.⁷⁷

როგორც ქართულ, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, შპს არის იურიდიული პირი. მას, როგორც ასეთს აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. ამიტომ შპს როგორც სამართლის სუბიექტი, და არა მისი პარტნიორები, არის ყველა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოსავალს პოულობს ზოგად უფლებაუნარიანობაში. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე კი შპს შეიძლება იყოს ნივთების მესაკუთრე, უფლებებისა და მოთხოვნების მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, სხვა კომერციული იურიდიული პირის პარტნიორი და ა. შ. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე, შპს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი, მათ შორის წესდებით გაუთვალისწინებელი საქმიანობა, იქცეს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ისე, რომ მისი წესდება არ უთითებდეს ასეთი მონაწილეობის სახეობასა და ფარგლებზე.⁷⁸

შპს-ის სამართალსუბიექტურობა იწყება შესაბამის რეესტრში მისი რეგისტრაციისთანავე. გერმანულ სამართალშიც როგორც იურიდიული პირის წარმოშობას უკავშირებს მის რეგისტრაციას სავაჭრო რეესტრში.⁷⁹ ქართულ

⁷⁵ჯანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ.1997, გვ. 295-296

⁷⁶Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 1991, gv. 817

⁷⁷Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 3. Aufl., 1981, gv. 188

⁷⁸მიგრაიული რ., შპს-ის ვაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებით ანალიზი ინზოლვენციის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004 გვ

⁷⁹Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl. München 1988, §10, Rdn.4, gv. 160

სამართალში შპს ახასიათებს როგორც სამენარმეო საქმიანობის მონაწილეს, ანუ მენარმეს, ხოლო გერმანული სამართალი, შპს მიიჩნევს სავაჭრო საზოგადოებად. არ თქმა უნდა, სავაჭრო საზოგადოება ზოგადი ცნებაა იმ საზოგადოებათა დასახასიათებლად, რომლებიც ეწევიან სამენარმეო საქმიანობას, ანუ წარმოადგენენ მენარმეებს. ქართული სამართალი მენარმის დასახასიათებლად ჩამოთვლის რამდენიმე ნიშანს: მოგების მიზანი, საქმიანობა მართლზომიერება და არა ერთჯერადობა, დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა. შესაბამისად, ქართული სამართალში შპს-ას არ განიხილავს მენარმედ, თუკი იგი მრავალჯერადად, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად არ ახორციელებს რაიმე მართლზომიერ საქმიანობას, და იმავდროულად არ გააჩნია მოგების მიზანი.

ერთადერთი განსხვავება, რომელიც თავს იჩენს ქართულ და გერმანულ შპს-ებს შორის, არის საქმიანობის მიზანი. ქართული სამართალი სამენარმეო საზოგადოებების, მათ შორის შპს-ის საქმიანობის მიზნად მოგების მიღებას ასახელებს. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი მენარმეს არ შემოზღუდავს რაიმე კონკრეტული მიზნით. გერმანული კანონი შპს-ის მიზნად მიუთითებს ნებისმიერ კანონით ნებადართულ მიზანზე. ამრიგად, აქ დაშვებულია, რომ მენარმე არ იყოს შექმნილი მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის განსახორციელებლად, ანუ მას არ გააჩნდეს მოგების მიღების მიზანი. ეს კი, თავის მხრივ, არ გამორიცხავს შპს-ის მეშვეობით არაკომერციული საქმიანობის განხორციელებას. ამიტომ არის რომ გერმანიაში შპს-ის ფორმით გვხვდება პროფესიული გაერთიანებები, საპენსიო და ურთიერთდახმარების სალაროები.⁸⁰ გერმანიაში შპს იქმნება აგრეთვე საჯარო ამოცანების განსახორციელებლად. გერმანული სამართალი შპს-ას და სხვა მენარმეებს არ განიხილავს სანარმოებად. სანარმოს, გერმანული სამართლის მიხედვით, აქვს მხოლოდ სამართლის ობიექტის დანიშნულება. მას მართავს და უძღვება კონკრეტული მენარმე, მათ შორის შპს. გერმანიის შპს-ის სამართალი, ისევე როგორც სხვა კორპორაციების სამართალი, „გაუქმება“ როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, გამოხატავს ერთი საერთო ტერმინით - Auflösung და

⁸⁰Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Kommentare und Formularbuch, 8. Aufl. München 1992, gv.

მას არსებითად განასხვავებს სამართლის ისეთი ინსტიტუტისგან როგორცაა „ლიკვიდაცია“ Liquidierung.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაუქმების ინსტიტუტი საფუძვლიანად არ არის დამუშავებული, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა.⁸¹

გერმანული სამართალი და თეორია არ გულისხმობს შპს გაუქმებით მისი არსებობის საბოლოო დასრულებას. გაუქმება შეიძლება მიზნად იქცეს, საზოგადოების არსებობის დამთავრებას, მის სრულ მოსპობას. კაპიტალურ საზოგადოებაში გაუქმება გამოხატულებას პოულობს, ერთი მხრივ, გაუქმების ან გაუქმების შედეგების მქონე გადანყევტილების არსებობაში, ხოლო მეორე მხრივ გაურკვეველი ხდომილების დადგომაში. გაუქმების მეშვეობით შპს ასე უბრალოდ არ ქრება ჰაერში. გაუქმებით როგორც უკვე აღინიშნა, იქმნება სამართლებრივი წინაპირობა იმისთვის, რომ შპს ორგანიზებულად მივიდეს თავისი არსებობის დამთავრებამდე და სამართლებრივად სრულ მოსპობამდე. თავისი არსებობის შეწყვეტამდე საზოგადოებამ საფუძვლიანად უნდ დაასრულოს არსებული სამართლებრივი ურთიერთობები.⁸² გაუქმება, როგორც სამართლის თვითმყოფადი ინსტიტუტი, არ არის დამუშავებული აგრეთვე ქართული საკორპორაციო ლიტერატურაშიც. თუმცა, არის მცდელობა იმისა, რომ საზოგადოების გაუქმების ინსტიტუტი გადმოცემული იქნეს ისეთი ტერმინებით, როგორცაა „საზოგადოების დაშლა“ ან „საზოგადოების შეწყვეტა“.⁸³

აღსანიშნავია რომ გერმანულ სამართალში გაუქმებასა და ლიკვიდაციის განსხვავებას განაპირობებს ამ უკანასკნელის პრაქტიკული ხასიათი. ლიკვიდაცია წარმოადგენს პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც ხორციელდება ლიკვიდატორის მიერ. ხოლო გაუქმება კი განიხილება როგორც ლიკვიდაციის თეორიული წინაპირობა. მათ განსხვავებულობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ გაუქმების პროცესის მონაწილეებად გვევლინებიან შპს-ის

⁸¹მიგრაიული რ., „სამენარმეო საქმიანობა: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან), ჟურნალ „საქართველოს ნოტარიატი“, 2002 წელი N1(5), გვ 39-50.

⁸² K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl, 1991, §11 V, gv. 266

⁸³ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 1-ლი გამოცემა, თბ. 1996 გვ141-142 აგრეთვე იგივე, მე-2 გამოცემათ. 1998, გვ.180-181,249

პარტნიორი ან სასამართლო, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ, ხოლო ლიკვიდაციის ძირითად მონაწილედ გვევლინება ლიკვიდატორი, რომელი შეიძლება იყოს ან შპს-ის დირექტორი ან მესამე პირი.

მიუხედავად იმისა რომ გაუქმება და ლიკვიდაცია სხვადასხვ სამართლებრივი ინსტიტუტებია, ქართულ სამეწარმეო სამართალში დღემდე ვერ მოხერხდა ამ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ინსტიტუტის ურთიერთ გამიჯვნა და ერთი ცნებით „ლიკვიდაციით“ არის გადმოცემული.

როგორც ჩანს, როგორც საქართველოს, ისე გერმანიის სამართალი და ლიტერატურა გარკვეულწილად მსგავსად გადმოგვცემს შპს-ის ცნებას, რომელშიც ძირითადად გამოკვეთილია საზოგადოება და მისი პარტნიორების პასუხისმგებლობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული შპს-ის მიზნები უფრო ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ მოგებაზე მიღებაზე სწრაფვით, რაც დამახასიათებელია ქართული შპს-თვის. გარდა ამისა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურისა და სამართლისათვის უცხოა მსჯელობა იმის შესახებ, რომ შპს-ის სანესდებო კაპიტალი დაყოფილია შესატანებად.

2.3.2. შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში.

საბჭოთა თეორიები იურიდიული პირის შესახებ დეტალურად არის განხილული საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში. საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არ ცნობდა პირთა კერძო ინიციატივის საფუძველზე გაერთიანების შექმნას. ფორმალურად დამოუკიდებელი სუბიექტები, როგორც იყო კოლმეურნეობები, კავშირები და სხვა ამგვარი გაერთიანებები უმკაცრესი

სახელმწიფო მეთვალყურეობის ქვეშ იყო. პოკროვსკი სინანულით ამბობდა, რომ რუსეთი განზე იდგა ამ საერთო ევროპული განვითარებისაგან.⁸⁴

XIX საუკუნის დასაწყისში ვერ გადაეწყვიტა რუსეთს, მიერო თუ არა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ უკვე მზად იყო. ის, რისი გაკეთებაც ვერ მოხერხდა რევოლუციამდელ რუსეთში, ბოლშევიკებმა თავიანთი გამარჯვების შემდეგ 1922 წელს სოციალისტური სამოქალაქო კოდექსით დაგვირგვინდეს.⁸⁵

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთს წინაშე დადგა კანონმდებლობის ძირეული განახლების პრობლემა. ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ წინა პლანზე წამოწია სამენარმეო საქმიანობის ახალი ფორმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სამეურნეო ამხანაგობებსა და საზოგადოებებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს შპს.

საკანონმდებლო ბაზის განახლების პროცესში ბუნებრივია საჭირო გახდა ახალი სამოქალაქო კოდექსი შემუშავებაც და 1994 წლის 21 ოქტომბერს მიღებული იქნა რუსეთის ფედერაციის ახალი სამოქალაქო კოდექსი. შპს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც „ერთი პირის კომპანიის“ ყველზე ტიპურ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 87-ე მუხლი პირდაპირ უშებს ასეთ შესაძლებლობას. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ შპს-ში „ერთი პირის კომპანიამ“ მიიღოს მონაწილეობა. აქ გათვალისწინებულია შპს მონაწილეთა ზღვრული ან მაქსიმალური რაოდენობა. მსოფლიო ქვეყნების მაგალითის მიხედვით ასეთი ზღვრები დგინდება 30-50 მონაწილის ფარგლებში, რომ შპს განსხვავდებოდეს სხვა საზოგადოებისგან.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შპს იმ ორგანოების არსებობას, რომელიც გამოხატავენ მისი, როგორც იურიდიული პირის ნებას. ამასთან დაკავშირები, აუცილებლად უნდა შემუშავდეს და მიღებული იყოს შპს-ის წესდება, რომელიც სხვა მრავალ საკითხთან

⁸⁴ჯორბენაძე ს., ქართული სამართალი რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. ქართული სამართლის ისტორიის საკითები თბ. 1995 გვ 211

⁸⁵ჯანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომცემლობა სამართალი, თბ. 2000. გ 33

ერთად, ამ პრობლემასაც გადაჭრის, რაც შეეხება დამფუძნებლის ნებას საზოგადოების შექმნისა და მასში მონაწილეობის პირობების შესახებ, იგი გამოიხატება დამფუძნებელ ხელშეკრულებაში.⁸⁶

მეტად მნიშვნელოვანია წარმოჩინდეს შპს-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, რომელიც შესაძლებელია მონაწილეთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ასევე მისი ლიკვიდაცია შესაძლებელია იურიდიულ პირთა საერთო საფუძვლიდან გამომდინარე, ხოლო მისი რეორგანიზაცია გარდაქმნის ფორმით შესაძლებელია მხოლოდ სხვა საზოგადოების ან სამეწარმეო კოპერატივის, მაგრამ არა ამხანაგობის ფორმით. შპს-ის მმართველობის სისტემა შედგება ორი რგოლისგან. საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მისი მონაწილეთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საკითხები. არსებობს საკითხები, რომლებიც საერთო კრების კომპენტენციაში შედის და საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოსათვის მათი გადაცემა დაუშვებელია. საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოთა კონტროლისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას შიდა აუდიტი, რომლის უფლება-მოვალეობანი შეიძლება განისაზღვროს კანონით ან შპს-ის წესდებით. ამრიგად, როგორც საზოგადოების საერთო კრებას, ისე მის მონაწილეთა გარკვეულ რაოდენობას, რომელიც შპს-ის სანესდებო კაპიტალის გარკვეულ წილს ფლობენ, აქვთ უფლება დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება მოითხოვონ.

აღსანიშნია, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს წესებს შპს-ის ქონების ფონდის შესახებ. ასეთი საზოგადოების ქონებრივი განცალკევებულობის საფუძველს წარმოადგენს მისი სანესდებო კაპიტალის გარკვეულ წილს ფლობენ, აქვთ უფლება დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება მოითხოვონ. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს წესებს შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების ფონდს შესახებ. ამიტომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის პირელი პუნქტი

⁸⁶ხუციშვილი ქ. სააქციო საზოგადოებები და შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები 1999 წ.

პირდაპირ ითვალისწინებს, რომ საზოგადოების სანქსდებო კაპიტალი შეადგენს შპს-ის ქონების მინიმალურ ოდენობას, რომელის შპს-ის კრედიტორთა ინტერესების გარანტს წარმოადგენს.⁸⁷ საზოგადოების სანქსდებო კაპიტალი არ შეიძლება იყოს იმ თანხაზე ნაკლები, რომელიც განსაზღვრულია კანონით შპს-ის შესახებ. საზოგადოები ყველა წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მისი სანქსდებო კაპიტალის შექმნაში შესატანების შეტანის გზით და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ მოვალეობისაგან მათი გათავისუფლება.

რუსეთის ფედერაციული სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შპს-ის მონაწილის შესაძლებლობას გადასცეს თავისი წილი ან მისი ნაწილი სხვა პირებს, რაც შპს-ის დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანასა და ხელახალ რეგისტრაციას მოითხოვს. შპს მონაწილე უფლებამოსილია ყველანაირი თანხმობის გარეშე ნებისმიერ დროს გამოვიდეს მისი შემადგენლობიდან და მოითხოვოს ის თანხა, რომელიც სანქსდებო კაპიტალში მის წილადაა განსაზღვრული.. ამან შეიძლება საშიშროების ქვეშ დააყენოს საზოგადოების ქონების ინტერესები. ამიტომ შპს დამფუძნებელმა დოკუმენტებმა უნდა მოაწესრიგონ გასული მონაწილის წილის გადაცემის საკითხი.

აღსანიშნია რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც, რომელიც შპს-ის სახესხვაობას წარმოადგენს და მისი ერი მნიშვნელოვანი თვისება ის არის, რომ ერთ-ერთი მონაწილის გაკოტრების შემთხვევაში, მისი დამატებითი პასუხისმგებლობა პროპორციულად დანარჩენ მონაწილეებზე ნაწილდება, ამიტომ კრედიტორთა დამატებითი გარანტიის საერთო თანხა უცვლელი რჩება.

⁸⁷ხუციშვილი ე. სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები 1999 წ.

2.3.3. შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი - ევროპული და ამერიკული გამოცდილების კვალდაკვალ

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კონტინენტურ ევროპაში 150 წელზე მეტი, ხოლო ინგლისში 100 წელზე მეტია პარტნიორების შებლუდული პასუხისმგებლობა ცალსახად დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპია საკორპორაციო სამართლისთვის. თუმცა ეს ფუნდამენტური შეხედულება ფართომასშტაბიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის შედეგია. მთავარი მიზანი კორპორაციებში ინვესტიციების განხორციელების მასშტაბური გავრცელება იყო, ეს კი ინვესტორების კორპორაციის კრედიტორებისაგან დაცვისა და ინვესტიციების დაკარგვის რისკის შემოფარგვლის გზით იყო შესაძლებელი.⁸⁸

ისტორიკოსებს შორის არ არსებობს კონსენსუსი დასავლეთ ევროპაში პასუხისმგებლობის შებლუდვის პრინციპის დამკვიდრების ზუსტი თარიღის შესახებ.

ინგლისში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო შებლუდული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება.⁸⁹ შებლუდულ პასუხისმგებლობაზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება 1844 წელს მიღებულმა კანონმა ზოგადი ინკორპორაციის შესახებ, რომელმაც მოითხოვა რეგისტრირებული კომპანიების მიერ დამფუძნებელთა ვინაობის გასაჯაროება. თუმცა 1844 წლის კანონმა ვერ შეძლო ინვესტირების მოზიდვა ბიზნესში, რადგან მდიდარ ინვესტორს არ ჰქონდა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კომპანიებში მონაწილეობის მიღების სურვილი, მაშინ როდესაც არარეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებებში მონაწილეობდა ათასობით ინვესტორი, რაც წარმოადგენდა შებლუდული პასუხისმგებლობის სასარგებლოდ ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს.⁹⁰ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი აშშ-ზე გაცილებით უფრო ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ის მნიშვნელოვნად ჩამორჩა აშშ-ს შებლუდული პასუხისმგებლობის

⁸⁸ Blumberg P.I., Limited Liability and Corporate Groups, 11 J. Corp. L. 573 1985-1986, 33

⁸⁹ Carney, Limited Liability, in: Encyclopedia of Law and Economics, 1998, 663.

⁹⁰ Diamond, Corporate Personality and Limited Liability, in Tony Orhnaile (ed.), Limited Liability and the Corporation, London and Canberra, Croom Helm, 1982, 22-43.

კონცეფციის განვითარებაში. შესაბამისად ამ პერიოდში შტატების უმრავლესობაში საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობა. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მე-20 საუკუნის დასაწყისში დადგინა, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვა არის წესი და არა გამონაკლისი. სწორედ აღნიშნული წესი განაპირობებს ინვესტორთა დაინტერესებას და დიდი საწარმოების არსებობას.⁹¹

საბოლოოდ კი, ევროპის მასშტაბით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საყოველთაო ხასიათის აღიარება მოხდა 1989 წლის მე-12 საკორპორაციო დირექტივით, რომელმაც დაავალდებულა წევრი სახელმწიფოები ნაციონალური კანონმდებლობით უზრუნველყოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემოღება ისეთი ერთი პირის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციული ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებდა თავად ეწარმოებინა ბიზნესი.⁹²

ინგლისში გაერთიანებები ფუნქციონირებდნენ ოფიციალური დაფუძნების გარეშე, რის გამოც ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ ამხანაგობის სტატუსით. მე-16 საუკუნეში კონტინენტურ ევროპაში გავრცელებულმა გილდიებმა გავლენა იქონიეს ინგლისზეც, სააქციო საზოგადოების სახით, რომლებიც იქმნებოდა სამეფო ტახტის ან პარლამენტის მიერ ან საერთო სამართლის საფუძველზე გაცემული წესების საფუძველზე.⁹³

ამერიკული საკორპორაციო სამართალი ეფუძნება ბრიტანულ საკორპორაციო სამართალს, რომელიც თავის მხრივ, საფუძველს იღებს რომანული და კანონიკური სამართლიდან.⁹⁴

საფრანგეთში 1780-იანი წლიდან იწყება წესდებებში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გათვალისწინების ტენდენცია. 1807 წლის საფრანგეთის სავაჭრო კოდექსმა მოახდინა მოდიფიკაცია, რის შედეგადაც სააქციო საზოგადოების მიმართ შესაძლებელი გახდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის

⁹¹ Anderson v. Abbott, 321 U.S. 349, 362 (1944).

⁹² Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies.

⁹³ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 694

⁹⁴ Dodd, The Evolution of Limited Liability in American Industries, 61 Harv. L. Rev. 1372-1373, 1948 1354.

გავრცელება.⁹⁵ საფრანგეთის მიდგომამ თვის მხრივ, გავლენა იქონია სხვა ქვეყნებზეც. არსებობს აზრი, რომ სწორედ საფრანგეთიდან გავრცელდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ესპანეთში, ხოლო ესპანეთიდან ლათინურ ამერიკაში.⁹⁶

მსოფლიოს ინდუსტრიულ რევოლუციის პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში იყო. ამიტომ ამ პერიოდში, რუსეთის იმპერიის საკანონმდებლო რეგულირება შეიძლება განვიხილოთ ქართული კაპიტალური საზოგადოების რეგულირების სამართლებრივ საფუძვლად. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრების საბოლოო ეტაპს საქართველოში წარმოადგენს 1991 წელი, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მცირე პერიოდში შემუშავებულ იქნა საკორპორაციო სამართლის ნორმატიული ბაზა.⁹⁷

აღსანიშნავია, რომ შპს განიხილებოდა პრივილეგიად, რომელსაც მთავრობა ანიჭებდა კომპანიას ეკონომიკური აქტივობის ზოგიერთი ფორმის ხელშეწყობის მიზნით.⁹⁸ ინგლისის საკორპორაციო სამართლის განვითარებაში შემდეგი ეტაპი იყო 1844 წლის სააქციო საზოგადოების შესახებ აქტი, რომლის მიხედვითაც კორპორაციად რეგისტრაცია სავალდებულო გახდა ყველა იმ გაერთიანებისათვის, რომელსაც გააჩნდა აქციები ან/და ჰყავდა მინიმუმ 25 წევრი. 1855 წელს კი მიღებული იქნა პასუხისმგებლობის შესახებ აქტი, რომლითაც განიმარტა და ჩამოყალიბდა უნიფიცირებული პროცედურა შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციის დაფუძნებისათვის.⁹⁹ ამრიგად, ინგლისში მხოლოდ მე-19 საუკუნიდან დაიწყო შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება. საბოლოოდ კი, ევროპის მასშტაბით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საყოველთაო ხასიათის აღიარება მოხდა 1989 წლის მე-12 საკორპორაციო დირექტივით, რომელმაც დაავალდებულა წევრი სახელმწიფოები ნაციონალური კანონმდებლობით

⁹⁵Carney,Limited Liability, in:Encyclopedia of Law and Economics, 1998, 661.

⁹⁶ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 699

⁹⁷ლაზარაშვილი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების ისტორია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, უურნ. აღმანახი N 5 1998, 10.

⁹⁸ Bainbridge, In Defense of the Shareholder Wealth Maximization Norm: A Reply to Professor Green, 50 Washington and Lee Law Review, 1993, 1423-1446.

⁹⁹Mayson, French, Ryan, Company Law, 31 st ed. 2014-2015, 55.

უზრუნველყო პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემოღება ისეთი ერთი პირის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციული ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებდა თავად ეწარმოებინა ბიზნესი. შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი ღირეფტივის მიღებამდე მხოლოდ იმ ორგანიზაციული ფორმისთვის გამოიყენებოდა, რომლის ფარგლებშიც, ინვესტორი-პარტნიორი ასრულებდა პასიურ როლს, და არ ერეოდა კორპორაციის მენეჯმენტში.¹⁰⁰

შპს შესახებ ისტორიულ კვლევებში გაუღერებელია პოზიცია, რომელიც ამართლებს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს დემოკრატიის საფუძვლით. ამ პოზიციის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მცირე კაპიტალისტს არ მიეცემა შესაძლებლობა მოახდინოს ინვესტირება ამავე დროს დაიცვას თავი პასუხისმგებლობის შეზღუდვის იმუნიტეტით, ის არასოდეს მოახდენს ინვესტირებას და შესაბამისად, მხოლოდ ინდუსტრიული გიგანტები შეძლებენ გამოიყენონ სარგებელი, რაც კორპორაციებში ინვესტირებას მოჰყვება. ეს არგუმენტი კი განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ამოქმედება საჭირო იყო მცირე ინვესტორების დაინტერესებისთვის. 1848 წელს, ნიუ-იორკის კონსტიტუციის განხილვის დროს გაუღერდა მოსაზრება, რომ თუ არ მოხდებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის შემოღება, კორპორაციებში ინვესტირება დარჩებოდა მხოლოდ მდიდარი ინვესტორების პრივილეგიად, დემოკრატიის მიზანი კი არ იყო მდიდარი კაცის უფრო მეტად გამდიდრება.¹⁰¹

¹⁰⁰Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies.

¹⁰¹ Presser, Limited Liability Democracy and Economics, Northwestern University Law Review, 1992, 154.

დასკვნა

ამრიგად, სისტემების განსხვავებები, რომლებიც განპირობებულია იმით, თუ როდის ჩამოყალიბდა ისინი, ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, კულტურული განსხვავებებით და თავისებურებებით, ჩვეულებების სხვაობით არ შეიძლება არ ასახულიყო სამართლებრივ სისტემებზე და მის ერთ-ერთ მიმართულებაზე - კორპორატიულ სამართალზე. ეს სხვაობები კი ბევრ ისეთ საკითხს წარმოქმნის, რომლებსაც გადაწყვეტა ესაჭიროება.

ახლა, როდესაც მენარმეთა შესახებ კანონის მიღებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მისი გამოყენების პრაქტიკამ კანონის მრავალი ხარვეზი გამოავლინა. ამკარაა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში ან სრულებით არ არის დარეგულირებული, ან იმდენად ბუნდოვნად და ზოგადად არის ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკაში შპს-ს ხშირად პრობლემები ექმნებათ მათი გამოყენებისას. ყოველივე ამას თან ერთვის საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესიც, რომლის შედეგადაც უამრავი შეუსაბამობა და ხარვეზი გამოვლინდა.

ნათელია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში არ არის დარეგულირებული სრულებით ან იმდენად ზოგადად და ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკაში შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხშირად პრობლემები ექმნებათ მათი გამოყენებისას. უამრავი შეუსაბამობა და ხარვეზი ვლინდება საქართველოს კანონმდებლობაშიც, რომელიც ისწრაფვის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად სასამართლო პრაქტიკის არსებობისა უამრავი ხარვეზი და ჩნდება კითხვა პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით. როგორც ნაშრომში აღინიშნა შპს იქმნება პარტნიორთა ნებით, რადგან ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა. თუკი პარტნიორის ხელშეკრულებას განვიხილავთ ხელშეკრულებად, ხოლო ყოველ შემდგომ ცვლილებას მრავალმხრივ გარიგებად, სახეზე არ გვეჩნება მაკვალიფიცირებული კრიტერიუმი

ურთიერთთანხმებულ ნება, რადგან გადანყვეტილება ხმათუმრავლესობით მიიღება. ცვლილებები და დამატებები კი შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, საბოლოოდ პარტნიორთა შეთანხმების მიმართ იკარგება კონსენსუსის კრიტერიუმი. ამრიგად, საკანონმდებლო რეგულირების პირობებში პარტნიორთა ხელშეკრულების დაკვალიფიკაცია არ ხერხდება.

მნიშვნელოვანია აღნიშნომ, რომ საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს მომსახურების განწევა და სამუშაოს შესრულება, როგორც შესატანის სახე. მათი გამიჯვნის კრიტერიუმს „მენარმეთა შესახებ „ კანონი არ აწესებს. თუმცა მომსახურების განწევა და სამუშაოს შესრულება შეიძლება გაიმიჯნოს. ასევე იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი მიდგომა იმის თაობაზე თუ რამდენად წარმოადგენს მომსახურების განწევა და სამუშაოს შესრულება შეიძლება გაიმიჯნოს შეტანუნარიან ობიექტს. კანონმდებლობას ასევე არ იძლევა პასუხს კითხვაზე, გულისხმობს თუ არა შესატანის ეს კატეგორიები პარტნიორის მიერ პირადი მომსახურების განწევასა თუ სამუშაოს შესრულებას. ამიტომ მათი არსის დადგენის მიზნით, უნდა განისაზღვროს კანონმდებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მომსახურების , სამუშაოს შესრულების კატეგორიის ხელშეკრულებების დადება აუცილებელი არ არის. საკმარისია, მხოლოდ შესატანზე შეთანხმების არსებობა. ასევე მიზანშეწონილია მომსახურების ფაქტობრივად განხორციელების შემდეგ, საზოგადოებასა და პარტნიორს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

შპს-ის პრინციპის კორპორაციისთვის აუცილებელ სახასიათო ნიშნად კვალიფიცირდება ეკონომისტთა და სამართალმცოდნეთა შორის მკაცრი კრიტიკული დებატების საგანია. პარალელურად სისხლისამართლებრივი ასპექტებიც წინა პლანზე იწევეს. უფრო კონკრეტულად კორპორაციის „პიროვნულობა“ რომელიც განცალკავებულია მესაკთრეთა მართვისა თუ ქონებისგან, პასუხისმგებლობა შეზღუდულია. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხვა მენტალურ ელემენტს მოიცავს, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტი უნდა იყოს დანაშაულის განზრახვის მქონე. მართებულია, რომ ის მიმართულის ნატურალურ ინდივიდთა წინაშე და მისი შერაცხვა „გონებრივი მენტალიტეტის“ არმოქმე პირისთვის სადავოა.

შესაბამისად, თუ კორპორაციის მესაკუთრეები ჩაიდენენ სისხლისამართლებრივ უსამართლობას კორპორაციის სამართლებრივი ფორმის გამოყენებით, ხდება სანარმოს მიზნებისთვის, მისი მაფორმირებელი ჰუმანოიდური კომპონენტების აგრეგატებად გადაქცევა, რის შედეგადაც კორპორაცია, როგორც პიროვნება დანაშაულის ობიექტურად შერაცხვის სუბიექტია და მისი წევრები, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპით კორპორაციული საფარველის ქვეშ ვეღარ ისარგებლებენ.

საფუძვლიანად არის გადასაწყვეტი ასევე ქონების საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ გაუქმების შემდეგ შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს არსებობა, ამიტომ საჭიროა მანამდე გაირკვეს მისი ქონების საკითხი.

მონესრიგებული არ არის სამართლებრივად საზოგადოების რეესტრიდან ამოშლის ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხები.

ამრიგად, ბიზნეს საქმიანობის დანყება და შემოსავლის ამ სფეროთი გაზრდა თითქმის ყველა ადამიანს სურს. თუმცა, ამისთვის მხოლოდ სურვილი არა საკმარისი, ამ ყველაფერს სჭირდება რიგი საკითხების სწორდ დაგეგმვა და გადაწყვეტა. ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი კი ის არის, რომ საქმე სამართლებრივად გამართული და დახვეწილი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

1. კანონი „მენარმეთა შესახებ“ 1994 წ. (ახ. რედ.)
2. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებები 1994 წელი გვ 33
3. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 1996 წლის კანონი გვ23
4. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მენარმეთა შესახებ, 1997 წ. 5 იანვრის მდგომარეობით,
5. „ადგილობრივი საწარმოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N 183 1, 08.23.1993 (ძალადა კარგულია 28.10.1994)

მონოგრაფიები

6. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი 1, თბ. 2010 გვ 72.
7. ბურდული ი., სამენარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში შედარებითი სამართლებრივი კვლევა) თბ.2007, გვ 91.
8. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005 წელი 8 1 გვ.
9. ლაზარაშვილი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების ისტორია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, უურნ. N 5 1998,
10. მჭედლიშვილი ნ., მიგრიაული რ., „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კრებული), თბილისი 1992 წელი, გვ.18-19.
11. მენაბდიშვილი ს., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამოქალაქო სამართალი (II) 1999,14

12. მიგრიაული რ. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა 2002,13.
13. მიგრიაული რ., სამენარმეო საქმიანობა: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან), ჟურნალ „საქართველოს ნოტარიატი“, 2002 წელი გვ 39
14. მიგრიაული რ., შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებით ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან) თბილისი 2004 გვ34.
15. ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი 1996.45
16. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში.295-296 გ.
17. ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. 34გვ.
18. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში თბ.2006წ. გვ 137
19. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., „მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა თბ. 1998, გვ. 4
20. ჭანტურია ლ., კანონი მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, რ. კნიპერისა და ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბ. 1996, 36.
21. ცერცვაძე ა., სამენარმეო სამართლის საჯარო და კერძო სამართლებრივი ასპექტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ლადო ჭანტურიას 50 საიუბილეო გამოცემა. თბ 2013 გვ. 22

უცხოური ლიტერატურა

22. Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl. München 1988, §10, Rdn.4, gv. 160

23. Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Kommentare und Formularbuch, 8. Aufl. München 1992, gv. 7
24. Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbH-Gesetz). RGBL. gv. 477
25. Waldner/Wölfel, So gründe und führe ich eine GmbH, 3. Aufl., 1993, gv.1
26. K. Schmidt, PG. 543 ff.
27. Hicks J., Limited Liability: the pros and cons, in Orhnia T. (ed.), Limited liability and the corporaθ on, London, 1982, 11
28. Halpern P., Trebilcock M., Turnbull S., An Economic Analysis of Limited Liability In Corporaθ on Law, The University of Toronto Law Journal, Vol. 30, N°2, Spring 1980, 117-150, 117.
29. Malik M.K., Internaθ onal Aspects of Corporate Law and Governance, University of Warwick, UK, parθ al fulfilment of the requirements of LLM for the session 2005-2006.
30. Wandler/Wölfel, So gründe und führe ich eine GmbH, 3. Aufl., München, 1993, gv. 4
31. Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, gv. 198
32. GmbHG, §13.1
33. Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl. München 1988, §10, Rdn.4, gv. 160
34. Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Kommentare und Formularbuch, 8. Aufl. München 1992, gv. 7
35. Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 1991, gv. 817
36. Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 3. Aufl., 1981, gv. 188
37. K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl, 1991, §11 V, gv. 266
38. Blumberg P.I., Limited Liability and Corporate Groups, 11 J. Corp. L. 573 1985-1986, 33
39. Carney ,Limited Liability, in:Encyclopedia of Law and Economics, 1998, 663.

40. Diamond, Corporate Personality and Limited Liability, in Tony Orhnaile (ed.), Limited Liability and the Corporation, London and Canberra, Croom Helm, 1982, 22-43.
41. Anderson v. Abbott, 321 U.S. 349, 362 (1944).
42. Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies.
43. Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 694
44. Dodd, The Evolution of Limited Liability in American Industries, 61 Harv. L. Rev. 1372-1373, 1948 1354.
45. Carney, Limited Liability, in: Encyclopedia of Law and Economics, 1998, 661.
46. Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 699
47. Bainbridge, In Defense of the Shareholder Wealth Maximization Norm: A Reply to Professor Green, 50 Washington and Lee Law Review, 1993, 1423-1446.
48. Mayson, French, Ryan, Company Law, 31 st ed. 2014-2015, 55.
49. Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies.
50. Presser, Limited Liability Democracy and Economics, Northwestern University Law Review, 1992, 154
51. Waldner/Wölfel, So gründe und führe ich eine GmbH, 3. Aufl., 1993, gv.1
52. Hommelhof/Kleindiek in Lutter/Hommelhoff, GmbHG-Gesetz. Kommentar, (2004) 6 Rn 16.
53. Schmidt, Gesellschaftsrecht, 4 Aufl. S. 995

